საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 14 აპრილი 4 1899 წ. № 14

შინაარსი: შუათანა თაობა ნ. ყორჯანიასი.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—სურვილი, ლექსი კ. მიქელაძისა.—ბიბლიოგრაფია გი—ვისა.—ვეფხის ტყაოსნის „ახალი“ ვარიანტის შესახებ ა. ხახანაშვილისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—შარშანდელი „ჯეჯილის“ კრიტიკოს ივ. გომართელისა.—ღია წერილი ბ. „ვარ“-ისადმი სტუდ. ს. გ—ძისა.—„კვალის“ ფოსტა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

შუათანა თაობა.

I.

ჩვენი მოქალაქობრივი განვითარება მთელი თავისი სავსებით უეჭველია მესამოცე წლებიდან იწყება. ჩვენ პირველათ მაშინ გადავიძვრეთ ძველი დაობებული იურიდიული ფორმა და შევდექით ახალ გზაზე. ამ გზას ერთხელაც არ გადავცილებულვართ, ისე სისწორით და მიუხვევ-მოუხვეველათ მოვდიეართ დღევანდლამდე. ეს მოძრაობა სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა სახეს ღებულობდა და თანამედროვეთაგან ძნელი შესაგნები ხდებოდა. ძრიელ ადვილი დასანახავი იყო ამ მოძრაობის დასაწყისი. ბატონ-ყმობის მოსპობამ და რეფორმების შემოღებამ უცებ შეაანძრია მთელი საზოგადოება, მთელი ერი და ძალა დაატანა ყველას, ბატონს და ყმას, განათლებულს და გაუნათლებელს, ეს მოვლენა ეცნო და მისთვის ანგარიში გაეწია. და, აი, ის იყო მესამოცე წლების მოძრაობა იშვა, ძველი და ახალი წყობილების წარმომადგენელნი ერთმანეთს დაეტაკენ და მოდუნებული ცხოვრებაც გაცოცხლდა. მარა ამ ახალ ცვლილებას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ყველა თავის ნაყოფის გამოღება. ის, როგორც ახალ მოვლენილი, ცხოვრების ზედა-პირზე ბობოქრობდა და ძილს მიჩვეულ ხალხს მოსვენებას არ აძლევდა. მხოლოთ შემდეგ ის თან-და-თან ეშვება ცხოვრების სიღრმეში და იქაურობას ძირიანათ აქანებს. ეს არის მუშაობა ჩუმი, უხილავი, მედგარი. ცხოვრება ერთიანათ აშიშინდა, ადუღდა ⁄ რამდენსამე ხანს მერე გარეთ გადმოხეთქა. და ახლა დამალული მოძრაობა ისევ თვალსაჩინო შეიქმნა და მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ამ ნაირათ, აქ ვარჩევთ სამ ხანას, ანუ სამ საფეხურს: 1) ცხოვრების ზედა-პირის შენძრევა—ცვლილება გარეგანი, 2) ცხოვრების შინაგანი დუღილი—ცვლილება ნაწილ-ნაწილი და დამალული, 3) ცხოვრების დუღილის გარეთ გადმოხეთქა—ცვლილება აშკარა და ერთიანი. პირველი ხანის მებაირაღტრობა წილათ ხვდა ძველ თაობას, მეორის—მის მომდევნო შუათანა თაობას, ხოლო მესამის—ახალ თაობას. ძველი თაობა შეიცავს იმ მოღვაწეთ, რომელნიც ასპარეზზე გამოვიდენ მესამოცე და მესამოცდაათე წლებში, შუათანა თაობა იმაი, რომელნიც

მეოთხმოცე წლებში გამოვიდენ, ხოლო ახალი თაობის მოღვაწენია მეოთხმოცდაათე წლებს შემდეგ გამოსულნი. ამათში ყველაზე უფრო შესაბრალისი და საცოდავი შუათანა თაობაა და ჩვენც ამ ჟამათ მის დახასიათებას შეეუდგებით.

შუათანა თაობის მოღვაწენი შუათანა არიან ღირსებითაც. იმათ არც რეფორმები ჰქონდათ გასატარებელი და ვერც გატარებულის ნაყოფს ხედავდენ. ეს დრო არის გადამავალი დრო, ძველი ურთიერთობა ირღვევა და ახალი შენდება. — ამიტომ მათ ნაღვაწსაც გადამავალი ბეჭედი აზის. ძველის დამაგრება რომ აღარ შეიძლებოდა — ეს ყველასათვის ცხადი იყო, ხოლო მის ალაგას რა დაებოდა — ეს კი ბნელით იყო მოცული. ამის მიხედვით მასალას ცხოვრება ჯერ კიდევ არ იძლეოდა და ხელი ჩაჭიდეს იმას, რასაც ყოველი კაცი ამჩნევდა. სოფელში ჩარჩების გამრავლება და გლეხობის დარბევა — აი ნათელი და უეჭველი მოვლენა სოფლის და გლეხის მდგომარეობა საფუძველათ დაედვა შუათანა თაობის მოღვაწეობას. მან, რუსეთის ახალ-გაზდობის ზეგავლენით, მოინდომა არა მარტო გლეხის იურიდიულათ გათავისუფლება, როგორც ამას წინათაობა თხოულობდა, არა მარტო საჩარჩო კაპიტალთან გამკლავება, როგორც ამას სოფლის მეთვალ-ყურენი ღალადებდენ, არამედ მისი ერთბაშათ ფეხზე წამოყენება და ყოველ მხრივათ გაბედნიერება. სოფელი და გლეხ-კაცობა დასახეს ჩვენი წარმატების ერთათ ერთ ღერძათ და მომავალის ქვა კუთხედათ. ასე დაარსდა ეგრეთ წოდებული „გლეხური“ მიმართულება მწერლობაში და მის ორგანოთ ჟურნალი „იმედი“ გამოიცა. მარა ჩქარა აღმოჩნდა, რომ სოფელში იჩაგერის არა მარტო გლეხობა არამედ თავად-აზნაურობაც. ის ვალიანდება და ნელ-ნელა ქვეითდება, ხოლო გლეხ-კაცობისაგან თითო-ოროლა მაინც წინ მიდის და ქონებას და დოვლათს იძენს. ახალი დრო მიმართული იყო მოწინავე წოდების წინააღმდეგ, ის ჰკარგავდა აქ იმას, რაც წინეთ შეიძინა, ან შეძენილი გადმოეცა. გლეხს წინეთ არაფერი არ გააჩნდა და მაშასადამე თუ რამეს შეიძენდა, თვარა დაკარგვით ხომ ვერაფერს დაჰკარკავდა. ამ გარემოებას პირველათ ისევ ძველი თაობის მოღვაწეებმა ძიაქციეს ყურადღება და მორთეს გოდება: რამდენათ გლეხობა წინ მიდის და ვითარდება, იმდენათ თავადაზნაურობა უკან მიდის და ქვეითდებაო. აი ეს მათი ღალადი ყურადღეს შუათანა თაობის მოღვაწეებმაც და ცალი ხელი მოწინავე წოდებასაც გაუშვირეს. „იმედის“ მესვეურნი, სტ. ჭრელაშვილი და ალ. ნანეიშვილი, თან-და-თან დაუახლოვდენ ძველი თაობის წარმომადგენელთ და ბოლოს მთელი თავისი ავლა დიდებით გადაბარგდენ „ივერიაში“. ასე-და-ასე ნაირათ, „გლეხური“ მიმართულება შუათანა თაობისა თან-და-თან შეიცვალა თავად-აზნაურულ მიმართულებათ ძველი თაობისა. შუათანა თაობამ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე და ძველი თაობის ამალათ გადაიქცა. ამან ამით მოკავშირე ახალგაზდობა იშოვა და თავისი ახალი მოძღვრება უფრო და უფრო უშიშრათ გამოაფინა. და, რაც უფრო საკვირველია, ძველები თავის აზრს ამ შემოერთებულთ აწვრილებდენ და ავრცელებიებდენ, თვითონ კი უკან იდგენ. შუათანა თაობა უბრალო იარაღათ გამოყენეს და როცა ეს იარაღობა მას აღარ შეეძლო, გარეთ გააგდეს, აწი უშენოთაც

ლათ წავალთო. ის მწერლობას დაშორდა, მარა სამაგიეროთ პრაქტიკულ საქმეებს მოჰკიდა ხელი. ეს შეუდგა „ქვეყნის აშენებას“ ხან დეპოს გახსნით, ხან ბანკებით, ამხანაგობებით და სხ. ყველა ამაებში პირველი ალაგი სათავად-აზნაურო ბანკებმა დაიჭირა. რაკი წინ წამოდგა მოწინავე წოდების ინტერესი, ცხადია, წინ უნდა წამდგარიყო მისი ორგანოები და დაწესებულებები.

ამ ნაირათ, შუათანა თაობამ ყელზე თოკი მოიბა და ძველი თაობის წინ დაიჩოქა. მის სამსახურს მან შეალია მთელი თავისი გონებრივი ძალ-ღონე და მერე წერილმალ პრაქტიკულ საქმეებში გაიხლართა. და ასე მთელი თაობა დაქუცმაცდა, დაძაბუნდა და წერილ გროშებზე გადახურდავდა. აშკარაა, ამ დაწრეილმალებულ ხალხს, ამ უდროოთ წელში გატეხილთ, ამ დაბერებულ ახალ-გაზდათ, არავითარი ძლიერი მიმართულების, არავითარი ღრმა მიმდინარეობის შექმნა არ შეეძლოთ. იმათ თვითონვე უარჰყვეს თავისი მიმართულება, თავისი თავი, თავისი მომავალი და აბა ერთი მითხარით, ვის რა აზრს და იდეალს ჩაუნერგავდენ. შუათანა თაობა გაკოტრდა მანამდ-ს, სანამდის მომწიფდებოდა. იმას არც ძველი თაობის ახალგაზდური მღელვარება განუცდია და არც ახალი თაობის დამოუკიდებლობა უგემია. ის მათ შუაში დარჩა გახირული, თავისი მდგომარეობითვე დარეტიანებული. მართალია ის მიეკედლა პირველს, მარა აქედან არა გამოვიდა რა გარდა იმისა, რომ თავისი პირადობა დაჰკარგა, ხოლო სხვისი კი ვერ შეითვ-სა. მან დატოვა თავისი ნიადაგი და სხვის ნიადაგზე მოინდომა დადგომა, ერთხანს კიდევაც შედგა, მარა ჩქარა ფეხი დაუცდა და უკან გადმოვარდა. ახლა მას აღარც თავისი დაუჩა და აღარც სხვისი, არის ისე გარიყული, ჰაერში გამოკიდებული. ამას კარგათ გრძნობენ თვითონვე ამიტომაა, რომ მწერლობას, აზრის გამოთქმას ასე ერიდებიან. ის დაჭკნა, დაეცა უფრო ადრე, ვინემ ძველი თაობა. დღეს თუ

წერენ, რამეს ამბობენ — ეს ისევ ძველი და ახალი თაობის მოღვაწენი, შუათანა თაობა კი სადღაც მიწაში ჩაძერა და თუ ხან-და-ხან თუმცა იშვიათათ — ორიოდე სიტყვას წამოისვრის — ეს შეეხება ან ბანკს, ან რაიმე შუამდგომლობას და ან ძველი თაობის ქება დიდებას და ახალი თაობის ლანძღვა-გინებას. ის იცავს იმას, რაც თვითონ არ შეუქმნია, ის ეწინააღმდეგება იმას, რის შექმნა მას არ ძალუძს. და ასეთი უკან-უკან სიარულით ლამ-ს არის ძველ თაობაზე კიდევ უფრო დაძველდენ და ობ მოდებული არხივში გადალაგდენ.

შუათანა თაობა ჩვენ ორ დედა-ქალაქში ორ სხვა-და-სხვა ნაირ როლს თამაშობს. თფილისში უფრო რთული ცხოვრებაა, უფრო მეტი საქმეა, აქ მოღვაწეს საკმაო ნიჭი და უნარი უნდა ჰქონდეს, რომ ის თვალსაჩინო შეიქმნეს. და, აი, შუათანა თაობამ სწორეთ აქ წაიბორძიკა და ერთიანათ ძველ თაობაში გაჰქრა. ის ძველ მოღვაწეთა უბრალო ზურგისჯარათ გადაიქცა. მოწინააღმეობა პირველთ ეკუთვნის, წინ ისინი მიდიან, ხოლო მეორენი უკან მისდევენ და ამით კმაყოფილი არიან. პრაქტიკულ საქმეებშიაც კი, როგორც მაგ. ბანკი, ერობის შემოღება, თუ სხვ., ძველი თაობა ბელადობს, მისი მომდევნო თაობა მხოლოთ აქ-იქ არის ჩაჩხირული და, ხარის რქაზე მჯდომ ბუზსავით, შეუძლია თქვას: მეც ვმუშაობო. ვერავითარი საქმე, ვერავითარი დაწესებულება საკუთარი ძალ-ღონით ვერ მოაგვარეს. რაც კი თვითონ დაიწყეს (ჟურნალი „მოამბე", „გამომცემელთა ამხანაგობა", „შუამავალი" და სხ.), არც ერთს სიცოცხლის პირი არ უჩანს. ერთი სიტყვით საკუთარი ფეხით სიარული, მისთვის არ დაწერილა. ეს გუნდი საცოდავი და შესაბრალისი გუნდია. ის ვერც ვერავის გაიტაცებს და ვერც ვერავის შეაცდენს. მისი არარაობა მეტის მეტათ აშკარაა.

სულ სხვაა ქუთაისში. აქ ცხოვრება სადა და განუვითარებელია. აქ ძველი თაობის არც ერთი ცნობილი მოღვაწე არ ცხოვრებს. აქ არც მწერლობაა, არც დიდი რამ საქმეებია. ერთი სიტყვით სრული უხალხობა ზ უსაქმობაა, და აი სწორეთ ამიტომაც შუათანა თაობას აქ მოუპოვებია ძალა ზ გავლენა. თფილისის ცხოვრება აზვირთებული მდინარეა და შიგ ჩამდგარი შუათანა თაობა ალარ ჩანს, ის ჩაიძირა; ქუთაისის ცხოვრება კი უბრალო ღელეა და შიგ ჩამდგარ იმავე თაობას წყალი მუხლამდის ძლივს წვდება. ამისაკვის ის ჩანს, ხოლო გულ-უბრყვილო ქუთათურნი ამას მისი ბუმბერაზობით ხსნიან და ირგვლივ „შენ უფალოს" უკალობენ. ამ თაობას მიემხრენ აგრეთვე ძველებიც, რომელნიც შესანიშნავია იმით, რომ ისინიც „ძველია", მესამოცე წლების მოღვაწეთა ამბებს დასწრებია და შორიდან უცქერია. და ისინ. ახლაც უცქერიან შუათანა თაობას და მის „საქმეს" თანაუგრძნობენ, მხოლოთ იმ პირობით კი რომ ეს „საქმე" უთუოთ მათი ლოცვა-კურთხევით და ნება-დართვით იწყებოდეს. ამას ქუთაისს შუათანა თაობა ძლიერ ერთგულათაც ასრულებს. მაშინ როდესაც, თფილისის ძველები წინ დგანან და მას შუათანაები მისდევენ, ქუთაისში აი ეს შუათანა ხალხია წინ გაშვებული და ძველები უკან ნეტარებით შეჰყურებენ. სამაგიეროთ, თფილისში რამე მაინც კეთდება, ქუთაისში კი ვერავითარი საქმე ვერ დააგვიანებენ. ცხადია, შუათანა თაობა აქ შესანიშნავია იმით, რომ რაღაც მანქანებით წინ მოქცეულა, მორჩა და გათავდა. ვერც მწერლობა, ვერც წიგნების გამოცემა, ვერც ბანკი, ვერც სამეურნეო სკოლა, ვერც „ამხანაგობა" — ვერაფერი ფეხზე ვერ დააყენეს, ვერაფერს თავისი ელფერი ვერ მისცეს და ამავე დროს ისინი მაინც კიდევ მოწინააღმეობენ, იმათ მაინც კიდევ მოწიწებით ეპყრობიან. ამ მიმდინარეობამ ლამის არის ახალი თაობაც ჩაითრიოს და ისიც შუათანა თაობის წინაშე დააჩოქოს, იმ შუათანა თაობის, რომელიც თავის მხრივ ძველი თაობის ნიწაშია დაჩოქილი. ახალი თაობისთვის დიდი სიფრთხილე და შორს მხედველობაა საჭირო, რომ ის ამ მოსამსახურეთა მოსამსახურეთ არ გადაიქცეს. განსაკუთრებით, ქუთაისის ახალი თაობაა ამ ჟამათ განსაცდელში. აქ მოსამსახურე თაობა გარეგნობით ბრჭყვიალებს და გამოუცდელთ თვალს უყენებს. ამიტომ ამათ ღღემდის ვერ მოუხერხებიათ საკუთარ გზაზე გამოსვლა, საკუთარ ფეხზე დადგომა და ბევრი ამათგანი უნიადაგო თაობის ბრჭყალებში უკვე მოემწყვდევ და ბევრიც ახლა აპირებენ. მისკენ გადასვლა ერთ უმთავრეს საქმეში ნიშნავს მისკენ გადასვლას ყველა საქმეში. ასევე დაემართა თვითონ შუათანა თაობას. ის ერთ კითხვაში მიემხრო ძველთაობას და ამან ლოგიკურათ სულ მთლათ იქით გადაიყვანა. სანამ მოღვაწეთა ერთი გუნდი მთელ თავის საკუთარ სისტემას არ დაუპირდაპირებს მოღვაწეთა მეორე გუნდს, მანამდის მისი დამოუკიდებლობა, მ სი მიმართულება არ არსებობს, ის მზათ არის სხვისი ტყვე შეიქმნეს და თავისი სახე დაჰკარგოს. ავიღოთ მაგ. ქუთაისის საბანკო ოპოზიცია. ახალ-თაობას ის მოწონს ან მოეწონება იმიტომ, რომ მისი მისწრაფება უანგარო და წმინდაა [1]), რასაკვირველია, მოწინააღმდეგებთან შედარებით. და

[1]) თუმცა, მოსამსახურე თაობის მოსამსახურემ, თ. კ. აბაშიძემ თავისი უკანასკნელი განცხადებით ოპოზიციის უანგარობა დიდათ საეჭვოთ გახადა.

ოპოზიცია ამის მეტს რომ არას წარმოადგენდეს, მისკენ გადასელა სრულებით არ იქნებოდა სახიფათო. მარა ის არის არა მარტო ეს, ის არის ბევრი სხვა რამეც. პირველ-ყოვლისა ის აღჭურვილა ყველა იმ ნაკლულევანებით, რითაც ასე განთქმულა შუათანა თაობა და მაშასადამე მისი მიმხრობა ძალა-უნებურათ ამ თაობის მიმხრობას მოასწავებს. მეორეთ, მან დაჰკარგა უფლება ზნეობრივ სიწმინდის ქადაგებისა, მას შემდეგ რაც ის ზნეობრივი სიდუხჭირის დ მოკრიეეთა ძალ-მომრეობის მფარველათ შეექმნა. [2]) მესამეთ, ბანკის საქმეებშიაც რეაქციონურ ზიმებს ჩაებლაუჭა და თავის თავის გასამარჯვებლათ იმით შეიარაღდა. და მისი მიმხრობა განა ყველა ამის ცნობას და დადასტურებას არ მოასწავებს? განა ეს თავისი თაობის ძირის გამოთხრა არ არის?

ჩვენ ვამბობთ: ახალ-თაობის მოწინავე ნაწილმა თუ ახლავე არ გამოირკვია თავისი მიზანი და ლტოლვილება, თუ ახლავე არ შეიგნო ის ისტორიული როლი, რომელიც მას ჩვენი ახალი ცხოვრების მესამე-ხანამ არგუნა — იმას კიდევ უარესი ბოლო მოელის ვინემ ეს შუათანა თაობას ხვდა, და ეს ბოლოა — გაქრობა არა ძველ-თაობაში, არამედ მის მოსამსახურე შუათანა თაობაში. და მოსამსახურეთა მოსამსახურეობა მოგეხსენებათ — ვერაფერი ხელობაა. ეს უნიადაგო თაობა თავისი უიდეობით, თავისი უშინარსობით და უმიზნობით აცვიფრებს არა მარტო გარეშეთ, არამედ თავისიანებსაც. აი, რას წერს ერთი მათგანი: ეს თაობა „იწყებს კიდეც და ათავებს კიდეც კერძო საქმეებით და საზრუნავით, იმ კერძო და დაწვრილმანებული საქმეებით, რომელიც მართალია მეტათ საყურადღებოა და არც გადაიდება, რადგან პრაქტიკულ მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რომელიც გამოუყენებელია, უღონოა ჯ უქმი თვით საზოგადო მოღვაწეთა გონების წრთვნა-ვარჯიშობისათვის... ესენი ისეთის სუსტის საგზლის პატრონები არიან, რომ მალე ელევათ ძალ-ღონე და სრულიად უძლურნი და უღონონი შეჰყურებენ დროებას, რომელსაც ყოველ დღეს ახალ-ახალი და უფრო რთული საქმეები მოაქვს საზრუნავად და მოსავღელად...“ („ივ.“ 1889 წ. 233). ასე ამბობდა ერთხელ ის კაცი, რომელიც თავდაპირველათ განზე იდგა. არც ერთ ჯგუფს არ ერეოდა, იმედს იძლეოდა საკუთარი გზა-კვალი გაეყვანა და ახალი თაობის მოთავეთ გამოსულიყო, მაგრამ ყველა ამაების მაგიერ თან-და-თან ჩამოქვეითდა, უკან დაიწია და შუათანა თაობას ხელში ჩაუვარდა. ამ კაცის სახელია გ. მაიაშვილი. ის არ არის ამ თაობის წარმომადგენელი, ის არის მხოლოთ წარმომადგენელი იმ გუნდის, რომელიც ამ თაობამ (და მასთან ერთათ ძველმა თაობამაც) შეართქა, გადაყლაპა და თავის სასარგებლოთ მოიხმარა. და რადგანაც, ახლაც ასეთი საფრთხე მოელის ახალი თაობის მოღვაწეთაც, ამიტომ მეტი არ იქნება ამ გადაყლაპვის პროცესიც გავითვალისწინოთ და წასული მაგალითით ახლა მაინც ვისარგებლოთ. ამისათვის საკმარისია ბ. მაიაშვილის გაცნობა.

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲗ მთავარ მართებლის საბჭოს დადგენილებისა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა მთავარ-მართებლის მიერ, თფილისის თვით მართველობის ყველა წევრი და ქალაქის მოურავი მიცემულ იქმნენ სამართალში. მათ ბრალდებათ დანაშაულობის ჩადენა სამსახურის ასრულების დროს. საქმის გამორკვევამდე ისინი დარჩებიან თავის თანამდებობაში.

—

როგორც შევიტყვეთ, ხუთშაბათს, 8 აპრილს, სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში იმართება რუსულ ენაზე წარმოდგენა არტისტი, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. დგამენ 4 მოქმედებიან დრამას „Порывъ“ და ერთ მოქმედებიან კომედიის „Школьная пара“. ამ წარმოდგენის შემოსავალი უნდა გადიდვას სახალხო თეატრისთვის. იმედია ქართველი საზოგადოება ბლომათ დაესწრება ამ წარმოდგენას.

—

30 მარტს ქართული დრამატ. საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ-წარმოდგენიდან შემოსულა 2400 მანეთამდე. ხარჯი ას თუმნამდე ყოფილა.

—

თფილისის სათავად-აზნ. ბანკის დარბაზში ეს ერთი კვირაა მსესხებლების წარმომადგენელთა არჩევანი წარმოებს. მსესხებლები ძლიერ ცოტა ესწრებიან.

---

[2]) ბ. გ. მაიაშვილს თავის რუსულ ფელეტონში ჩვენ ზნეობაზე შემოაქვს ეჭვი. ორში ერთი: ან არ იცის, რასაც ამბობს და ან ოპოზიციასთან ერთათ ფარისეველობს. ჩვენ უფრო პირველი გვინდა დავიჯეროთ და ამიტომ გურჩევთ მას პირველ შესვენებილს ჭკითხოს: აგერ ერთი წელია ვინ თხოულობს ყველა საზოგადო დაწესებულებაში მეტ სინათლეს და მეტ ზნეობრივ სიწმინდეს და ამ მოთხოვნილებას ვინ ეწინააღმდეგება. მაშინ გაიგებს, რომ ვთხოულობთ ჩვენ, ხოლო ვეწინააღმდეგება მის საფარველს ქვეშ მეოთი ოპოზიცია, და, აი, ასეთი ხალხი სხვის ზნეობაზე ლაპარაკობს!

200—300 მოწოდებულთა შორის ძლივს 6—7 ესწრება. როგორც ჩანს წარმომადგენელობის შემოღება სრულ გულ-გრილობას იწვევს.

—

თფილისის პროვიზორებმა ფინანსთა მინისტრს წარუდგინეს პროექტი წესდებისა, კავკასიის აქციონერული საზოგადოებისა, რომლის მიზანია საფთიაქო საქონლის დამუშავება და წარმოება. საზოგადოების ფირმის სახელია, „კონკორდია". ძირის თანხა 100,000 მ., გაყოფილი ათას აქციათ, თითო აქცია ღირს 100 მ.

—

ამ ერთ კვირაში მოხდა თფილისის, ქუთაისის და ბათომის საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა წლიური კრება. როგორც ანგარიშებიდან ჩანს, ყველაზე მეტი დივიდენდი ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკს დაურიგებია (ას მანეთზე 9 მ. 75 კ.), ხოლო ყველაზე ნაკლები ბათომისას (5 მ.)

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია „სამაგალითო წესები ქალაქის უბანთა სამზრუნველოების დაარსებისა", რომელთა მიზანია თავისი უბნის ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოთ შემოწირულობა აგროვონ და მათ მდგომარეობაზე თვალყური ეჭიროთ. ეს წესები უკვე გაეგზავნა გუბერნატორებს სისრულეში მოსაყვანათ.

—

სოხუმის ოლქში, სოფ. ფშანში, სადაც სულ ქართველობა ცხოვრობს, ყოფილა ერთი ქართველი ღედელი, გვარათ დ. ხუციშვილი, რომელიც ხალხისთვის გაუგებარ ენაზე ასრულებს ღვდელ-მოქმედებას და მიზეზათ იმას ასახელებს, რომ ხუცური კითხვა არ ვიცი! ხუცის შვილს ხუცესს ხუცური არ ცოდნია! ᲰᲛ... („ახ. მიმოხ.")

—

პირველ ამ თვიდან შავი ზღვის პირის გუბერნიაში დაიწყებენ აღწერას იმ მიწებისას, რომელიც რუსებს უნდა დაურიგონ დასასახლებლათ.

—

გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის წლიურ კრებაზე, რომელიც 28 მარტს მოხდა, დირექტორებათ არჩეულ იქმნენ თ. გ. ნ. დიასამიძე და ი. სიხარულიძე.

—

20 მარტს იერუსალიმიდან წერილით აცნობა ს. ალისუბნის (შორაპნის მაზრა) მღვდელს და სკოლის ზედამხედველს ელადიმერ სალაძეს აზნ. ნიკო ჩიკვაიძემ, მიანდერძებია ათას ათასი მან. მეურნეობის და ხელოსნობის შესასწავლ განყოფილებათა დასაარსებლათო („ივ.").

—

მთავრობას ათას-ათასი თუმანი გადაუდია მდ. მტკვრის და ჭოროხის კალაპოტთა ამოსაწმენდათ განზრახვა აქვთ ეს მდინარეები ნაოსნობისათვის მოაწყონ.

—

ჩვენ მივიღეთ ერკმან შატრიანის „გლეხი კაცის ისტორია", ტომი მესამე და უკანასკნელი, თარგმნილი ივ. მაჭავარიანისა, წიგნი შეიცავს 494 გვერდს და ღირს ექვს აბაზათ. ჩვენ ყველა ქართველს ვურჩევთ ეს შესანიშნავი წიგნები შეიძინოს და გულ-დასმით წაიკითხოს. მათი შემწეობით, მოთხრობის ფორმით, გაიცნობს ერთ უდიდეს მოვლენას მსოფლიო ისტორიისას, სახელდობრ საფრანგეთის დიდ რევ-ოლიუციას. სამივე ტომი ღირს 2 მ. 40 კ.

„კვალის" კორესპონდენციები.

ᲗᲔᲗᲠᲘ. (შილდის რამე-რუმე). მოგივა რამე, ვაია, არ მოკივა—ვაგლახია! ასე ჩივის აქაური გლეხობა და ახასიათებს თავის გარემოებას, მოსავალი ვაი რათ უნდა იყოსო? იფიქრებთ. იმიტომ, ბატონო, რომ გიშრომია, გიწვალია, ოფლათ დაღვრილხარ იმ დალოცვილი „კახური წვენის" მოყვანაზე, გიდგას ქვევრებში და შეჭყურებ: აცა, ახლა მობძანდება სირაჯ-ბატონი და შემდეგ დიდი გრეხა-პრანჭვისა ნახავს თქვენ ნაწვავ-ნადაგს, თქვენ ერთათ ერთ საღსარს ცხოვრებისას, მტრისა და მოყვრის გამსტუმრებელ ღვინოს. ნახავს ეს „გაქენთილი" ღვინოს. უძვირფასესიც რომ იყოს,—სულ დაბალია, დაჭანგებულია, დაძმარებულია... ვა, აქამდის როგორ შეინახე? ეტყვის გაჭირვებულ ღვინის პატრონ გლეხს და დაიწყება აღა-მამად ხანის დროინდელი ვაჭრობა, ათასი დალალ-დულალით, შუა-კაცებით. ხუთჯერ-გამოვა სირაჯ-ბატონი მარნიდან, ხუთჯერვე უკან მიბრუნდება: ეს ჭაშნიკი, ეს დასხმა, ეს საუზმე, შესანდობარი, აგაშენოს, გადაგაშენოს, ჯანდაბა, დოზანა და ბოლოს მორიგება. რა გულ დინჯათ უნდა გრძნობდენ წელს თავს „კახეთის მემამულეთა საზოგადოების" ამხანაგნი, რომელთაც თავის ღვინოები რიგიან ფასათ საიმედო ადგილას დაბინავებული ეგულებათ. კახელები რომ ვვარგოდეთ და ცოტა საზოგადოებრივი, კოოპერატიული წარმოების ნიჭი გექონდეს განვითარებული, ასეთი საზოგადოება ერთი კი არა, ათი და ოცი უნდა გექონდეს დაარსებული, თუნდ ყოველ მოზდილ სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო. ვინც ამ გვარ საზოგადოების შედგენას მოანდომებს თავის ძალას, ის დიდ სიკეთეს მოუტანს საზოგადოთ ქართველებს და კერძოთ კახელებს. ღვინის გაუყიდაობას და უფულობას ეჭირვება კრედიტი იაფი და საადვილო მისაღებ საშოვნელი, ჩვენ მეურნე-მწარმოებელ გლეხს აქამდის არც ერთი საკრედიტო დაწესებულება არ უხსნიდა კრედიტს და იყო (დღესაც არის) მშრომელი და მუშა კერძო კრედიტის ამარას. ეს კი რა გამათახსირებელი, გლეხის წელში მომხრელი და ჩვენი ცხოვრების შემაფერხებელია, ჯერ ნაკლებათ არის გამოკვლეული. თუმც თფილისის სამეურნეო, საურთიერთო ბანკმა, შემდეგ დიდი ხნის ყოყმანობისა, გაბედა და ჩვენ სოფლებშიაც შემოდგა ფეხი; მაგრამ ჯერ ერთი, რომ ის ძალიან ცოტა % აკმაყოფილებს კრედიტის მოთხოვნილებისას (წვეთია ზღვაში) და მეორეც ძალიან გვიან. სამეურნეო ბანკიც, როგორც ჩვენი გლეხებისთვის, ისე მმართველებისთვისაც ახალი საქმეა და იმედი უნდა ეიქონიოთ, ახლო მომავალში ერთი მეორეს გაიცნობენ და მათ შორის მტკიცე კავშირი დამყარდება, როგორათაც არის ეს სხვა ქვეყნებში. რაკი ღვინო მძიმეთ იყიდება, მას დალევა, გასაღება უნდა. ამ ხელობაში („სმაში") ხომ ჩვენ ბადალი არა გვყავს დუნიაზე! მხოლოთ ცალიერი ღვინო რა შესაქცევარი გახლავთ, თუ მას დედალი ინდოური არ ახლავს! მოგეცათ სიცოცხლე ამ ხელობაშიაც თავი ისახელეს შილდის რაინდებმა, აბა მუსრი ამათ გაავლეს სხვის (პატიერ მარხვას) ინდოურებს! ჩვენი „ჯეელი" მამასახლისი კი, როცა მას გამოუცხადებენ მოგვპარეს, დაგელუპეს, ქურდების კვალი თითქმის აღმოჩენილია, გეშველეო,—თითქო ბუზიც არ აფრენიაო; არხეინათ გაიელის, სადმე „ზაკზ" მიცემულ სადილზე თბილ ბუხართან მიჯდება და თავის განუყრელ სანხო-პანჩო მწერლითურთ ხმა ტკბილათ, შეწყობილათ დასძახის:

„ეს ოხერი ციება ძნელი მოსარჩენია.
სიყვარულის ომგონი დანით დასაკვლელია!"

ესეც ერთი უბედურობაა ათას სხვასთან! ერთი ლარიბი გლეხი ჩიოდა, მლუპავენ, ვიჩიელე მამასახლისთან და თავ წყალი ვერ გაადინაო. მეორე გლეხმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, მიაწოდა მომჩივანს და უთხრა „წაიკითხეო".—არ ვიცი, უპასუხა პირველმა. ჰო და არც ჩვენმა მამასახლისმა იცის რამე და რაღას ემღურიო. არც ისე უცოდინარი გახლავთ ჩვენი „კავალერი" მამასახლისი, ნაცელები ყველას იმას შესჩივიან: სადაც სახიფათო საქმეა, ჩვენ იქით გვიკრავს თავსაო და სადაც გამორჩომაა, თითონ იქ გაქანდება ქორივითაო. რა გამორჩომაა ეს გამორჩომა, მკითხველი ადვილათ მიხვდება.

ქიდდეჯი.

—

ძველი სენაკი. არა მგონია რომელიმე მივარდნილი მთის სოფელი იყოს ისე უპატრონოთ მიტოვებული, როგორც ჩვენი დაბაა. რაზე გვატყვია, ბატონებო, ბოქაულის ყოლა. ნახევარ ჯერ ღმერთმა უწყის როგორი ჰურით გვიმასპინძლდებიან აქაური მეპურეები, ხორცს ნიხრი არ გააჩნია, მთელი დაბა რომ დაარბიოთ, ბოქაულს ვერ დაინახავთ. მაგალითისთვის, თუ გნებავთ, ეს უკანასკნელი კვირა ავიღოთ. ეს ერთი კვირაა, აქ ბაზრობაა გამართული. რა ხალხი გნებავთ აქ არ იყოს—აფხაზი, ლეკი, ოსი და სხვა-და სხვა... ეს მილეთის ხალხი ერთი მეორეში ირევა, ლოთობს, ქუჩაში შფოთს აყენებს. ვინაა პატრონი?! ესეც არ იყოს ვერ წარმოიდგენთ რა მხეცურათ და უმართებულოთ ეპყრობიან საეკროთ ჩამოსული ურიები და სომხები აქაურ სოფლელებს, გამოგლეჯენ ხელში შალს (უმთავრესათ აქ შალის ვაჭრობაა) გადაუგდებენ რეა მანეთიან შალში სამ-ოთხ მანეთს და თუ წაიღებს—წაიღებს, თუ არა და იმასაც არ აძლევენ. იმის მაგიერ, რომ მყიდველი ეხვეწებოდეს გამყიდველს, აქ უკანასკნელი დასდევს პირველს უკან და ეღრიჯება, ან შალი დამიბრუნე და ან ორიოდე გროში გამოიმეტეო. ვინ არის პატრონი, რომ დაისხნას საცოდავი ხალხი ამ ძალ-მომრეობისაგან?! ან არა და გააგრძელებს ენას გაცვეთილი ჩარჩი და იმდენს ეჩიჩინება საცოდავ ძონძებში გახვეულ დედაკაცს, იმდენს ეფიცება, წყევლის, ემუქრება, რომ თავ-ბრუს დაახვევს და ორ გროშათ ირჩენს ტანჯულთა ნაოფლარს. ვინ არის კაცი მშველელი, ხმის ამომღები, ვაჭრობის გამწეს-რიგებელი, მადა გახსნილთა ამლაგმელი?! თუ იკითხეთ სად არის ბოქაულიო, ყაჩაღებს დასდევსო გეტყვიან: რაღა გარეულ ყაჩაღისა გვცხელა, როცა შინაურებმა სულ ერთიანათ აგვიკლეს.

რადგან ყაჩაღებზე ჩამოვარდა ლაპარაკი ერთი საზღაპრო ამბავი უნდა გიამბო, მკითხველო. ამ ორიოდე თვის წინეთ ოთხმა ბოქაულმა (სხვათა შორის ჩვენმაც) სენაკის მაზრის უფროსის ანანიმეშვილის წინამძღოლობით ერთ სახლს, რომელშიაც ყაჩაღი ეგულებოდათ, ალყა შემოარტყეს. უცებ ვიღამაც უკანა კარი გააღო და პერანგის ამარამ სახლის შორი-ახლო მდგომ დარაჯთ დინჯათ ჩაუარა და იქვე ტყეში მიიმალა.

„სწორეთ ის იყო ყაჩაღიო!—შემოიკრეს თავში ხელი პოლიციელებმა და გაქცეულს დასაჭერათ გამოუდგენ, მაგრამ გვიანლა იყო. ბოლოს ერთმანეთს საყვედური დაუწყეს: რატომ, თოფი არ ესროლეთო. თავი იმითი გაიმართლეს, რომ გვესროლა უსათუოთ ვინმე ჩვენგანს მოვახვედრებდით და ბარძაყს მივამ-

ტერევდითო. ეს სამარცხვინო თავის მართლება ორ ნაირათ აიხსნება: ან ყველანი ისე დახელოვნებული ყოფილან თოფის სროლაში, რომ კარებს რომ უმიზნონ, თვით სახლსაც კი ააცდენენ, ან არა და იმათ ბელადს, აბაშიძეს, სწორეთ ნაპოლეონის სტრატეგიული ნიჭი გამოუჩენია: ისე მოხერხებულათ დაუწყვია თავისი რაზმი, რომ თუ ვინმე მათგანს თოფი გაესროლა, უსათუოთ ამხანაგისათვის ბარძაყი უნდა მიემტვრია. ასეა თუ ისე, მოელ ჯარს პოლიციელებისას ტიტლიკანა ყაჩაღი გაექცა, ისე რომ თოფიც კი არ გაუსროლიათ, და პირში ჩალა გამოელებული დარჩენ. ეს ამბავი ჩემ მეხსიერებაში იწვევს წინანდელ აქაურ ბოქაულს აწ განსვენებულ ბესარიონ ქავთარაძეს, რომელმაც მარტოთ მარტო ერთ განთქმულ ყაჩაღს კარები შეუნგრია, და როცა ფირალი გარეთ გამოვიდა, თუმცა ბოქაული ბერდანკით მარჯვენა ხელში დასჭრა, მაგრამ, ბესარიონმა, სისხლის დენით დასუსტებულმა რეოლვერი მარცხენა ხელში გადაიღო და ქვეყნის შემაწუხებელს ცხელი ტყვია გულში უთავაზა. ცუდი არ იქნება სხვებმაც წაბაძონ ზემო მოყვანილ მაგალითს და თავისი მოვალეობა რიგიანათ აასრულონ.

მკვიდრი.

—

სოფელი ბლასტუნსკა (იგივე ლეჩხუმი.) სოფელი პლასტუნსკა მდებარეობს სოჩიდან ათი-თორმეტი ვერსტის სიშორეზე მდინარე სოჩის ხეობაში. ეს ადგილი არის დასახლებული ლეჩხუმის მაზრიდან გადმოსახლებულებით, რომლებმაც თავის ახალ სოფელს უწოდეს ლეჩხუმი. ადგილ მდებარეობა შესანიშნავია მეტადრე ზაფხულობით. მთელი სოფელი იმალება ამწვანებული უზარ-მაზარი ხეების ჩდილთ ქვეშ და სამივე მხრით ბუმბერაზივით აყუდებული კლდეები თავზე მეფურათ დაცქერის. ადგილი ძალიან ნაყოფიერია, ხეტყე აუარებელი; რომ პირუტყვი არ ჰყავდესთ მარტო გარეული ნადირი ეყოფათ სარჩოთ. ამასთანავე ზაფხულობით ნიგვზისა და წაბლის ტყეები დიდ სარგებლობას აძლევენ მათ, რადგანაც თითოეული ოჯახი გაყიდის სოჩაში ორმოც სამოცი მანეთის ნიგოზს და წაბლს. მიუხედავათ ასეთი საშვალებებისა იმათ მაინც არ ეტყობათ ეკონომიური წინ წაწევა. ყურძნის გაშენებას აქ არ მისდევენ, რადგანაც მაღლათ ამართული კლდეები იჭერენ სითბოს და თითქმის ნახევარი დღის განმავლობაში სოფლელები მოკლებულნი არიან მზის გამაცოცხლებელ სხივებს. თუმცა ლეჩხუმლები 15 – 18 წელია რაც გადმოსახლებულან პლასტუნსკაში და მოსახლეთა რიცხვი ოთხმოცამდის არის, მაგრამ ერთი სამლოცველო ეკლესია ჯერ კიდე ვერ აუშენებიათ და ერთათ ერთი სამინისტრო სკოლაც არა ფიგურირებს სასურველ ნიადაგზე. ახლა შენდება აქ წმინდა ნინოს სახელზე ხის ეკლესია. პლასტუნსკელები რომ უფრო საფუძვლიანათ შეუდგებოდენ ადგილის შემუშაევბას და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობას, მ თი შრომა დიდ ნაყოფს გამოიღებს, რადგანაც მათ ხელს მოუწყობს ბუნება დ თვით ცხოვრების პირობებიც. მაგალითისათვის შორს არ დაჭირდებათ წასვლა; დაუკვირდენ მეზობელი ნემეცების ცხოვრებას, რომელნიც იმათ შემდეგ დასახლდენ სოფ. კალონკაში და შეითვისონ ის კულტურული მხარეები, რაც მოსვლისთანავე თან მოიტანეს ამ უცხოელებმა. იმედია ისინი მიბაძავენ ამ მხნე და მეცადინე ნაციას და თავ სი მდგომარეობის გაუმჯობესობას უფრო გულმოდგინეთ შეუდგებიან...

ავგუსტი.

—

სოჩა. ამას წინეთ „ჯვალის“ მერვე ნომერში იყო დაბეჭდილი ჩვენი კორესპონდენტია, სადაც ვიცხადებდით ათოთიქის მაღაზიის დაარსების სურვილს. დღეს სიტყვა საქმეთ ხდება. ჩვენგან შედგენილ სიას უკვე ხელი მოაწერეს სოჩიდან შემდეგ პირებმა: ბესარიონ სოშტარიამ 100 მან. ნიკო ალექსანდრიამ 100 მან. ამბაკო ჩიტაიამ 50 მ., ზურაბ ანჯაფარიძემ 50 მ., გ. სოჯოლავამ 50 მ., უტაბასიამ 50 მ., ყარამან წიწავამ 25 მ., გიგო და გვალ გუგუშვილებმა 30 მ., ყირიმ ჩიტაიამ 25 მან., ანდრი ჩიტაიამ 20 მ., მაქსიმე ჩაჩიბაიამ 20 მ., ერმინე ქათამაძემ 20 მ., ანტონ ჩიტაიამ 15 მ., იულონ კვირკველიამ 10 მ., ანდრი დომაიამ 10 მ., პეტრე სარბელიან 5 მ., ანტონ სამთელაძემ 5 მან.

სოფელ პლასტუნსკიდან.

მღვ ეფრემ ცხაკაიამ 10 მ., მისმა მეუღლემ მარიამ ნემსაძამ ასჯერმა ცხაკაიასამ 20 მ., მელვინე ნიკოლოზ ოსიძემ 25 მ., გლეხებმა: ივანე უჩაძემ, ნიკო მურისიძემ, გიგო ქორჩიამ და სიმონა ჩოხნელიძემ ათ ათი მანეთი. ივანე ჩხეტიანმა, სპირიდონ გოცირიძემ, პავლე გაგაშელიძემ, ქუთარი ძიგუამ, ბესუკა რეკვავამ, სოლომონ ქვარიანმა, გიორგი ფრუიძემ, იესრიონ ალაგიძემ, სიმონა მიქაძემ და ანუკა მიქაძის ქალმა სუთ-სუთი მანეთი.

აგრეთვე აღგვითქვეს სოფელ ბლასტუნსკაში მცხოვრებ გლეხებმა დიდი თანაგრძნობა მომავალში.

როგორც მკითხველებიც სედავენ ამ საქმეს დიდი თანაგრძნობა გაუწია ისეთმა უსწავლელ ხალხმა, როგორც ბლასტუნსკაში მცხოვრები გლეხები არიან. ნუ თუ სოჩელებისათვის ეს თავლსაჩინო მაგალითი არ არის?... მიუხედავათ ასეთი სოფლელების მსგავს თანაგრძნობისა ზოგიერთი სოჩელი იუდები მაგნე სულიეთ დაბრწიან და ცდილობენ სიტყვით თუ საქმით რამე კნუბა მოუ-

ეგვიპტის სატახტო ქალაქის კაირის ბაღში.

ტანონ ამ ᲙᲣᲗᲘᲚ საქმეს, მაგრამ მაინც სულიერ ოკეანეის ოფიცერ და ერი, ხოლო ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘ, სიმართლე დღეს თუ გვრა სვალ მაინც აპარტეებს ბორბოტებას.

ᲣᲓᲠᲛᲔᲡ მადლობას ᲒᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲢ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲐ ᲗᲘᲗᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲣᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲬᲘᲠᲐᲕᲗ ᲞᲚᲐᲡᲢᲣᲜᲡᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠ ᲔᲗᲠᲔᲛ ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡᲐᲡ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲝᲡᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲞᲚᲐᲡᲢᲣᲜᲡᲙᲔᲚᲔᲑᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲣᲚᲔᲡ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲡᲢᲣᲜᲡᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲚ ᲒᲚᲔᲡᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ. .

ᲜᲐᲛᲡᲐᲠᲘ ᲒᲕᲐᲗᲣᲐ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ — ᲘᲓᲔᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ — ᲛᲔᲪ „ᲒᲛᲣᲨᲐᲝᲑ“ — ᲠᲐᲡ ᲒᲔᲫᲔᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲨᲝᲒᲔ!

ᲔᲠᲗ ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲔᲝ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲗ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲘᲡᲔᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲖᲐᲕᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲗᲐᲛᲐᲨᲜᲘᲐᲗ. ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲔᲠᲗᲝᲑ ᲛᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲐᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲒᲔᲫᲣᲚᲐ, ᲘᲡ, „ᲭᲙᲕᲐᲜ ᲙᲐᲪᲗᲐ“ ᲡᲐᲜᲣᲒᲔᲨᲔᲑᲚᲐᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲐᲚᲐᲒᲡ ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲡ. ᲐᲘ, ᲐᲛ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ, ᲡᲣᲚ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲭᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛᲐᲗ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲔᲜ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲠᲘᲒᲡ ᲘᲭᲔᲠᲔᲜ. ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲭᲐᲠᲑᲝᲑᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔ ᲮᲕᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲪᲐᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲘᲡᲔ ᲩᲐᲚᲮᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲗᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ. ᲛᲐᲒ. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲨᲘ 7 ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲐᲛᲝᲣᲓᲒᲐ ᲝᲠ-ᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲫᲔᲚᲘ ᲡᲢᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲩᲐᲐᲛᲬᲙᲠᲘᲔᲕᲔᲡ. ᲡᲢᲝᲚᲖᲔ 35 ᲧᲣᲗᲘ ᲓᲒᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲗᲔᲗᲠᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲛᲖᲘᲠᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲨᲔᲐᲗ. ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ ᲡᲘᲩᲣᲛᲔᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲚᲐᲮᲔᲕᲔᲡ ᲑᲐᲒᲔᲜᲘ ᲗᲔᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲓᲔᲡ: ᲗᲥᲕᲔᲜ ᲑᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲗ 35 ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ. — ᲔᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ — ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲔᲠᲗᲛᲐ. — ᲔᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ, ᲐᲣᲮᲡᲜᲔᲡ ᲐᲛ ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲔᲘᲚᲝᲡ. — ᲨᲔᲘᲓ ᲙᲐᲪᲖᲔ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲔᲙᲣᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲔᲠᲘᲐ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ? ᲬᲐᲛᲝᲘᲧᲐᲠᲗᲐᲚᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ, ᲛᲐᲠᲐ ᲐᲛᲡᲐᲪ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲩᲐᲐᲬᲧᲔᲢᲘᲔᲡ ᲮᲛᲐ, ᲠᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲔᲘᲧᲐᲑᲣᲚᲔᲑᲗᲝ. ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲓᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ. ᲘᲡᲔᲔ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ: ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ, 35 ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲓᲐ, ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ ᲮᲕᲐᲚ. ᲤᲐᲠᲓᲐ.

* * *

ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲐᲪ, ᲛᲗᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ. ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ, ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘᲪ, ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲛᲬᲧᲝᲛᲑᲠᲐᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲨᲚᲔᲚᲐᲗ ᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲔᲢᲧᲝᲛᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲔᲕᲘᲐ ᲛᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲙᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲔᲡ „ᲮᲔᲚᲘ“ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲜᲢᲠᲔᲞᲠᲔᲜᲘᲝᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲔᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲗᲐᲗᲔᲘᲡ ᲩᲐᲣᲑᲐᲠᲔᲑᲘᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲕᲐᲚ-ᲧᲣᲠᲘᲡ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲐᲡᲔ ᲯᲝᲠᲑᲡ. ᲛᲐᲠᲐ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲜᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑ ᲙᲐᲪᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲐᲕᲚᲐ-ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐ-ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲢᲙᲘᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲘ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲔᲠᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲘᲜᲐᲚᲐᲛ ᲛᲗᲚᲐᲗ ᲔᲘᲠ ᲓᲐᲘᲠᲘᲐ. ᲐᲥᲐᲪ ᲘᲡ ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲐᲠᲘ „ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲑᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲠᲘ ᲓᲐᲡᲪᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ. ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲞᲐᲬᲐᲬᲙᲘᲜᲢᲔᲚᲐ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ, ᲛᲐᲠᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲬᲣᲮᲓᲔᲜ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲔᲛᲛᲐᲙᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲩᲐᲜᲡ. 15 ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓ ᲞᲘᲠᲨᲘ, ᲡᲐᲛᲛᲐ-ᲝᲗᲮᲛᲐ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲐ, ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲗᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲜᲢᲠᲔᲞᲠᲔᲜᲘᲝᲠᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ. ᲗᲣᲠᲛᲔ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲐ ᲐᲜᲢᲠᲔᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲔᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ, ᲘᲡᲔᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲐᲚᲐᲠᲪ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲠᲐ. ᲓᲐᲩᲘᲩᲥᲜᲔᲑᲣᲚ ᲑᲘᲭᲔᲑᲛᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲐᲤᲐᲜᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲘᲐᲧᲐᲠᲔᲡ ᲨᲐᲕ-ᲨᲐᲕᲘ ᲙᲔᲜᲭᲔᲑᲘ. ᲒᲐᲐᲨᲐᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲗᲓᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Დ. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ Ⲙ. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲡ. ᲣᲠᲩᲘᲜᲘ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲔᲡ. ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲚᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲗ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲐ... „ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲢᲗᲐ“ ᲘᲓᲔᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ.

* * *

ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲔᲠᲔᲚᲘᲐ „ᲛᲝᲘᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲡ“, ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲜᲝᲗ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲡ: ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲗ ᲡᲐᲛᲣᲠᲫᲐᲧᲐᲜᲝᲔᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲐ. ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ „ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ“ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ, ᲩᲔᲛᲛᲐ ᲓᲦᲔᲛ, ᲘᲡᲔᲗᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲥᲕᲐᲡ ᲒᲐᲮᲔᲗᲥᲡ. ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲐᲛᲣᲠᲫᲐᲧᲐᲜᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲗ ᲡᲬᲔᲠᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲠᲫᲐᲧᲐᲜᲝ-ᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲝ! ᲐᲛ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲑᲠᲫᲔᲜ „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲡ“ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲪ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲜᲒᲝᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ—ᲠᲣᲡᲘ. ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲐᲛ ᲨᲔᲪ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომას აწი მაინც გაასწორებს და მომავალში თავის ისტორიულ გამოკვლევას საქვეყნოთ გამოჰფენს. ხოლო ახლა კი, მისი ეინაობა რომ შთამომავლობას არ დაჰკარგოდა, საჭიროთ დაუნახავს სახელი და გვარის გამოცხადება, უეჭველია „უკვდავთა“ აკადემიაშია შესაფერ ადგილს მოიპოვებს. მანამდის კი ჩვენ გუტენბერგის უბრალო ასოებს ვაკადრებთ და ნუ დაგვზრახავს. ის ბრძანებულა კ. მაჭავარიანი. მაჭავარიანისებურ „გამოკვლევას“ რასაკვირველია, ნამდვილ გამოკვლევასთან კავშირი არა აქვს გარდა ამისა, რომ აი, შემომხედეთ, მეც „ემუშაობ“...

***

მუშაობს თავისთვის ვისაც, როგორ შეუძლია, ზოგი ასე და ზოგი ისე, განათლებული განათლებულათ და გაუნათლებელი კიდევ გაუნათლებელათ. აი თუნდა სოფლის მამასახლისი. ის ხომ ნასწავლი არ არის, რომ გაზეთებში ყურადღება მიიქციოს, ხოლო ყურადღების დამსახურება მასაც უნდა. და, აი, ერთი მათგანი კიდევაც შეუდგა „ფეშქეშებით“ მაღლა აცოცებას. მარა „ფეშქაშებსაც“ ხარჯი ნდომებია, ხარჯი კი რა მამასახლისის საქმეა, ამისთვის ცალკე ხალხია გადაწყობილი, რომელსაც მოხარკე ჰქვია. დაფაცურდა ერთგული „მოფეშქეშე“ და მოხარკეთ ახალი ხარკი გაწერა, ერთს ერბო, მეორეს კვერცხი, მესამეს ცხვარი, მეოთხეს ყველი, ამაებს ცოტ-ცოტა ფულიც ზედ დაურთო და თავის უფროსებს უგზავნა და უგზავნა, ზოგიც, რასაკვირველია, თვითონ დაიტოვა, როგორც ერთმა უფროსთაგანმა. დაიმსახურა მათგან რაიმე ჯილდო თუ არა—ეს არავინ იცის, ვიცით მხოლოთ რომ ყველა ამაებისათვის თფილისის სამოსამართლო პალატისაგან 27 მარტს ერთი თვე და ათი დღის ციხე ჯილდოთ მიიღო... აი, ამაზეა ნათქვამი „რას ვეძებდი და რა ეპოვეო!“.

სურგილი.

ᲐᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲑᲠᲫᲝᲓᲔ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲡ
ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲫᲘᲝ ᲨᲣᲠᲘ;
ᲓᲐ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚ ᲛᲬᲘᲠᲡ
ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲝᲛᲬᲓᲔᲡ ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ.

—

სანამ ვიტოტხლო, ვჭრიდე ვით ქარი
უმართლოთ ტანჯულთ ვეკედლებოდე,
მსურს მათ საპტერეოთ მომართულ ისარს,
რომ წინ აღვუდგე, ვებრძოლებოდე

—

ვშველოდე უძლურთ, დაჩაგრულთ გუნდებს,
ვინც ცხოვრებაში თავდახრილია;
ვისიც სიმართლე, წმინდა გრძნობები
დაჩრდილული და დაფარულია.

—

ვის ხმა არ შეწევს, უღონო არის,
სიღარიბით ვინც ჭინჭვლთ ქცეულა;
ამ სენის გამო ვისიც თავსი,
ხალხისა თვალში შემცირებულა.

—

მათ სანუგეშოთ მსურს კვლავ ვიბრძოლო,
ბრძოლა რომ მქონდეს ნაყოფიერი;
მუდამ ვითქვამდე თავისუფლთ სულს
და ვთქვა, ტანჯული ვარ ბედნიერი.

—

მანამდის მათებრ თვით მე საბრალო
ცხოვრებას შევცქერ დალონებული;
უმაწვილი, მაგრამ უსისარულო
ბევრთ მოსუცზე დაბერებული.

კატო მიქელაძე.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

(„კრებული“ № 2. 99 წ.)

ᲝᲛ პირთა შორის, რომლებმაც ჩვენი ლიტერატურული ენა შექმნეს, აკაკის პირველი ალაგი უჭირავს და, რანაირი ღირსებისაც უნდა იყოს მისი ლიტერატურული განძი აზრის მხრივ, ქართული ენის მასწავლებლათ ის დიდხანს დარჩება ყოველი ქართველისათვის. რაგვარი შეხედულების ადამიანმაც უნდა წაიკითხოს უმეტესი ნაწილი აკაკის ნაწარმოებისა, მისი მარტივი, მკაფიო, მახვილი და მუსიკალური ენით უეჭველია, დატკბება. ამგვარია მისი უკანასკნელი სურათიც „საავთმყოფოში“, რომელიც კრებულის მეორე ნომერშია მოთავსებული. სიამოვნება კარგი რამ არის, მაგრამ არც საკუთარი აზრის ქონება არის დასაძრახისი: მე არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც ცალიერი ესტეტიკური სიამოვნების მეტს არას მაგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნობიებს; ხოლო ახლა თუ შეგაწუხე, მკითხველო, იმიტომ რომ ამ სურათმა ერთხელ კიდეე მომაგონა ის, რაც მუდამ თვალში ეჩხირება ჩვენი ცხოვრების ზერელათ თვალყურის მდევნელსაც კი, და გარდა ამისა ბევრი ფიქრიც ამიშალა. შეიძლება, ავტობიოგრაფიულიც ბევრი იყოს ამ სურათში, მაგრამ საზოგადო მნიშვნელობისაც ბევრია. ჩვენში ძალიან ბევრი სიტყვით არის საზოგადო საქმის გულ-შემატკივარი, მამულის მოყვარული, საქმით კი მხოლოთ თავისი თავი ახსოვს. სიტყვით ყველა უხვია, როცა რიგი საქმეზე მიდგება, მაშინ ორი გროშის შეწირვა გვეზარება საზოგადო კეთილდღეობის საკურთხეველზე. ამგვარი ნიშნები ჩვენ ცხოვრებაში სამწუხაროა, ამგვარი ნიშნების მატარებლებს მაგარი ცოცხი ეჭირვება, მაშინ დაინახავს ყველა, ვინ არის საქმით ჩვენი ცხოვრების გულშემატკივარი და ვინ ცალიერი სიტყვების გუდა; მაშინ გამოჩნდება ცხადათ სანუგეშო ნიშნებიც. ამავე სურათში ძალიან გულგატეხილია პოეტი ადამიანის ბუნებით: ადამიანში ის მხოლოთ ეგოიზმს ხედავს, სიმპატიას, ალტრუიზმს სრულიად უარჰყოფს. ამ ტემაზე ბაასი ძალიან შორს წაგვიყვანდა; მხოლოთ შევნიშნავთ, რომ ადამიანისადმი, მეგობრისადმი რწმენისა და ნდობის ამდენათ დაკარგვა საშინელებაა.

მეველეს 4—მოქმედებიანი დრამა „ხაფანგი“ მხოლოთ იმაზე არის აგებული, რომ ორ ქალს, ტიმოთეს ქალიშვილს და სარდიონის დას, ერთი და იგივე სახელი „ნინო“ ჰქვია. დაარქვით რომელიმე მათგანს სხვა სახელი და მთელი დრამა დაიფუშება. სულ რომ კარგი ღირსების იყოს დრამა, ასეთი ფუყე და შემთხვევითი ნასკვი ძალიან დიდ ნაკლულევანებას შეადგენს, ერთი მხრივ ფეოდალი, მეორე მხრივ მისი ნაყმევი, მდიდარი გლეხი, მათ შუა თავადისა და გლეხის ქალის სიყვარული,—ეს შევნიერი ტემა იყო, რომ ნიჭიერი მწერლის კალამს საუცხოო დრამა შეექმნა. მეველეს დრამა კი არავითარ დრამას არ წარმოადგენს. როცა კითხულობთ, ასე გგონიათ, თითქოს ყველა ეს პირები ნამდვილ ცხოვრებაში კი არ ტრიალებდენ, არამედ სცენაზე თამაშობდენ უხვირო პიესას. ფსიხოლოგიის მხრივ არც ერთი მოქმედი პირი არ არის მართალი. თავად ზაქარიას მაშინ მოდის გული, როცა ავტორს ნებავს, ტიმოთეს ქალს, ნინოს, გლეხის ქალისა არა აცხიარა; ვარდენის და სარდიონის ხასიათი ღმერთმა უწყის; მოქმედი პირები გადიან და შემოდიან, როცა ავტორს ნებავს. გლეხის ქალი რომ თავადმა შესართავათ შეიყვაროს ჩვენში, იშვიათი მოვლენაა; შეიყვაროს და იმ ფიქრით იტანჯებოდეს, ვაი თუ მას არ ეუყვარდე და ეუარი მითხრასო, ეს ყოველად შეუძლებელია. ავტორი კი აი რას ათქმევინებს ვარდენს: ...„მაგრამ ნინოს რომ არ ეუყვარდე და გულგრილათ მიიღოს ჩემი სიყვარული?! მაშინ რაღა ვეშველება“? (გვ. 24) თავადიშვილ ზაქარიას ერთათ ერთი შვილი ჰყავს; მას ეუბნებიან: შენი შვილი შენი ნაყმევის ქალს ირთავსო და ამ ამბის შეტყობაზე მას მხოლოთ „გესლიანი სიცილი აუტყდება“. გული კი შემდეგ მოუვა, რამდენისამე ხნის უკან. ალბათ ავტორმა დაარიგა ასე! საკვირველია, როცა ნინო თავის ძმა სარდიონთან მივიდა საპატიმროში, ერთხელ მაინც რატომ არ წამოცდათ: ძმაო ან დაოვ, ან ვარდენმა რატომ ვერ იცნო, რომელი ნინოც იყო? იმიტომ რომ ავტორს არ უნდოდა; დრამის ფუყე კვანძი ასეთი ხელოვნური სიყალბით იყიდა!

მოსე ჯანაშვილის „თფილისი“ ჯერ დამთავრებული არ არის, ამიტომ მის ღირსება ნაკლულევანებაზე გადაწყვეტით ვერას ვიტყვით. ხოლო იმედი გვაქვს, რომ გაგრძელებაში უფრო მეტს ვიტყვის ავტორი თვით თფილისზე; დასაწყისში კი ავტორი თითქმის სულ საქართველოს მტრებზე ლაპარაკობს და აქა იქ ჩაურთავს ხოლმე, თფილისი აიღეს თუ არაო.—კ. თ ის წერილი „ორი გერმანიელი მეცნიერის აზრი ქართული ანბანის შესახებ“ ფრიად საყურადღებოა. ასე ობიექტიურათ ბ მეცნიერულათ დაწერილი რამ, მერე ასეთი კითხვის შესახებ, როგორსაც კ. თ.-ნი ეხება ქართულ ენაზე იშვიათ მოვლენას შეადგენს. ამ წერილს ხარულით მიეგებება ბ წაკითხავს ყოველი ქართველი, რომელსაც კი ჩვენი საზოგადოებრივი და გონებრივი წინმსვლელობა აინტერესებს. ჩვენ მხოლოთ იმისი იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ პირველ წერილს ბევრი სხვაც ჰოჰყვება იმავე ავტორის მიერ.—ხოლო ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: ბ. ფრიდრიხ მიულლერის წერილს ავტორმა კრიტიკული თვალით შეხედა და უფრო ერცლათ გაარჩია, ვიდრე აბიხტის წერილი. „ბოროტ ენას“ შეუძლია, კ. თ-ის ამგვარი მოქმედება იმ გარემოების მიაწეროს, რომ აბიხტი ქართველების სასარგებლოთ ლაპარაკობს, მიულლერი კი ქართული ანბანის შექმნაში მესროფსაც წილს უდებსო.

საყურადღებოა აგრეთვე ს. გაჩეჩილაძის წერილი „სოფელი წევა“. აკაკის „კრებულის“ ერთ ღირსებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამგვარ წერილებს ბეჭდავს. ამგვარი წერილების შემწეობით ჩვენ მოვუყრით თავს ხალხში დარჩენილ ზეპირ სიტყვაობას და გავიცნობთ ჩვენი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, რაც მეტათ საჭიროა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობის შესახებ რაიმე აზრის შედგენა შეუძლებელია, თუ ხალხის ეკონომიური მდგომარეობა არ გვეცოდინება. ამგვარი წერილების ბეჭდვის

საჭიროება და სარგებლობა თავის თავათ ცხადი იქნება; მით უმეტეს, რომ ჩვენი სოფლის შესასწავლათ სტატისტიკურ დაწესებულებას მოკლებული ვართ. ავტორს ეკონომიური მხარისათვის საკმარისი ყურადღება მიუქცევია. ცხოვრების მსვლელობას წევაც, როგორც ბევრი სხვა სოფელი, ორათ გაუყია: უმცირესობას ვაჭრობისა და მევახშეობისათვის მოუკიდნია ხელი და გამდიდრემული. ეს უმცირესობა შეადგენს სოფლის ბურჟუაზიას; უმეტესობა გაღარიბებულა, ბევრ მათგანს კიდეც მიუტოვებია მიწაწყალი და სხვაგან გარდახვეწილა. წეველ გლეხს მიწის მუშაობა ძალიან მცირე სარგებლობას აძლევს და ამიტომ ის უფრო დღიურ მუშაობას ეტანება. ავტორი გვიჩვენებს გლეხის საშუალო გასავალ შემოსავალს და გვიმტკიცებს, რომ წეველმა გლეხმა თუ ქირით მუშაობით არსად იშოვა ფული, მარტო მიწა წლის სარჩოსაც ვერ მისცემს. ყველა ებრძვის ცხოვრებას, მაგრამ ზოგი სამუდამოთ დამარცხებულა: რაც დრო გადის ვალში იფლობა და მისი მდგომარეობა თან და თან უარ და უარ მიდის. გულის წვით აღნიშნავს ავტორი, „თუ როგორ იქცევა ოჯახი ოჯახზედ, თუ როგორ ჭერება, ცოდება კერა“. ზოგი კი ცდილობს უნუგეშო მომავალს, მარტო თავის მკლავების ამარა დარჩენას თავი დააღწიოს და სოფლის ბურჟუაზიის რიცხვში მოექცეს: თუ შინათ - მრეწველობას ჰკიდებს ხელს, თუ ჩარჩობას და აღებმიცემობას ეტანება. წეველში ბაზრობაც ცოდნიათ, ხოლო ავტორმა არ შეგვატყობია, რაგვარი ნაწარმოები გამოაქვსთ ამ ბაზარზე, როგორი დარგის არის შინათ-მრეწველობა? რამდენი უფრო მეტი იქნება ასეთი წერილი, მიუკერძებლათ დაწერილი, იმდენათ უფრო თვალსაჩინო გახდება ყველასათვის, თუ როგორ იცვლება ჩვენი სოფლის ცხოვრება და რა მომავალს უქადის ეს ცვლილება ჩვენი ერის მდგომარეობას: თავის წერილის ბოტანიკურ ნაწილში ს. გაჩეჩილაძე იხსენიებს მასაც, თუ რა და რა სატკივრის წინააღმდეგ ხმარობს ხალხი სხვადასხვა მცენარეს. ამგვარი ცნობები ძალიან საყურადღებოა: თუმცა ხალხურ წამლობაში ბევრი ახირებულობაა, მაგრამ სასარგებლო საშუალებაც ბევრია და მათი ცოდნა საექიმო მეცნიერებას სარგებლობას მოუტანს; საექიმო მეცნიერობაში დღეს ბევრია ისეთი წამლობა, რომლებსაც თავდა-პირველათ მხოლოთ ხალხი ხმარობდა: ამიტომ შემცდარია ყველა, ვინც ყოველგვარ ხალხურ წამლობას საცინათ იგდებს. ამ წერილის გაგრძელება შემდეგ ნომერში იქნება და, შეიძლება იქაც შეგვხვდეს ლაპარაკი. — ზ. ჭ.—ის „მასალები“ და ა. მერკვილაძის მიერ შეკრებილი ზეპირ სიტყვაობა საყურადღებო არის. ზ. ჭ – ის „მასალები“ დაუმთავრებელია და, როცა გათავდება, ჩვენ აზრსაც მაშინ შევატყობიებთ მკითხველს.

მოკლე ბიბლიოგრაფიაში კრებულის ბიბლიოგრაფიული განყოფილების შესახებ სიტყვის გაგრძელება უხერხულათ მიმაჩნია; მხოლოთ უნდა შევნიშნო, რომ აქ აკაკი გვატყობიებს მარტო თავის შთაბეჭდილებას და გრძნობებს, რომლებიც აღძვრია დასახელებული წიგნების კითხვის დროს! თვით ბიბლიოგრაფიული კი შიგ ძალიან ცოტაა.

გ.—გ.

ვეფხის ტყაოსნის „ახალი“ ვარიანტის შესახებ.

ასულ თებერვალს ერთსა და იმავე დროს დაიბეჭდა ქართულათ და რუსულათ („ივერია“ 1899, № 27 ⅆ „Нов. Обозр.“ 1899, № 5179) წერილი ერევანიდან შესახებ „ვეფხის ტყაოსნის“ ახალი ვარიანტისა. „ახალ“-ს ეუწოდებთ ჩვენ მხოლოთ იმიტომ, რომ ამ სახელით მონათლა ვარიანტი წერილის ავტორმა, შედარებამ კი აღმოაჩინა ერევანში ნაპოვნი ვარიანტის ერთფერობა უკვე ცნობილი ვარიანტებთან „ვეფხის ტყაოსნის“ პოემისა. მაშინვე შევადარე იგი პოლ. კარბელაშვილის მიერ ნაპოვნ „ვეფხის ტყაოსნის“ გაგრძელებას და ჩემ მიერ მოსკოვში გამოცემულ „ვეფხის ტყაოსნის“ ვარიანტს და დავრწმუნდი მათ თანხმობაში. რადგანაც განსაკუთრებითს ინტერესს არ წარმოადგენდა ახლათ ნაპოვნი ვარიანტი, გაჩუმებას ვაპირებდი, მაგრამ ზ. ჭ. წერილმა („ცნობის ფურცელი“, 1899, № 763) მაიძულა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. როგორც უკვე აღვნიშნე ჩემ წიგნში („Очерки по ист. груз. словесности. томъ. II, გვ. 249, შენიშვნა) ვინმე ნანუჩა ციციშვილმა შოთას პოემაში შეაპარა რამდენიმე ლექსი, როგორც ამას მოწმობს არჩილ მეფეც თავის „არჩილიანში“ (თფილისი, 1850, გვ. 179—180). გარდა ლექსების ჩართვისა შოთას პოემას მოაბეს გაგრძელება და დაამთავრეს ტარიელის და ავთანდილის სიკვდილითა. ამ გვარი დასასრული ვიცით ჩვენ პოლ. კარბელაშვილის ნაპოვნ პოემის დამატებაში და ჩემ მიერ დაბეჭდილ ვარიანტში.

ერევანში აღმოჩენილ „ვეფხის ტყაოსანს“ ბოლო აკლია, მაგრამ იგი მაინც, როგორც ჩანს წერილის შინაარსიდან, გაგრძელებით არის შემკობილი. თავდება იგი ავთანდილის ანდერძის ნაწყვეტით, რომელიც სრულათ მოყვანილია პ. კარბელაშვილის დედანში და ჩემ მიერ გამოცებულ „ვეფხის ტყაოსანში“ (Груз. рукописная поэма „Барсова ко-

ეროვნული ბიბლიოთეკა

жа'' изъ гл. архива Минист.-Иностр. дѣлъ. თუ შეადარებთ იმ ადგილებს ამ ,,ახალი'' ვარიანტისას უკვე მოხსენებულს პოემის გაგრძელებასთან— აღმოჩნდება, რომ იგი იმეორებს ცნობილ ტაეპებს. ,,ივერიაში'' მოყვანილი ტაეპი: ,,ესე ამბავი ნარჩობი, მფლობთა მორჩმით მგონეთა''.... და ტაეპი: ,,აწ გონიერნო სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით''... შეადარეთ ტაეპებს ჩემ ზემო დასახელებულ წიგნში გვ. 26 და დაინახავთ, რომ ,,ახალ'' ვარიანტში ახალი არა არის რა.

თუმცა ერეენული ვარიანტი ,,სიახლეს' მოკლებულია, მაინც სასურველია იგი არ დაიკარგოს და შენახულ იქმნას წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში.

ს. სასანაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

,,კვალის'' მეთორმეტე ნომერში დასტამბულის წერილი ბათომიდან ,,თაიგულისა'', ბათუმის ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლის ანგარიშის შესახებ, რომლის მოხსენება 14 მარტს იყო დანიშნული.

იმ წერილიდან ცხადათ ჩანს თაიგულის ცალ-მხრიობა ანდა უყურადღებობა. მაგალითათ იგი წერს, ,,ბერძენიშვილს კამათში მონაწილეობა არ მიუღია, და არც კიცით სხვა წევრების აზრის იყო იგი თუ არა''.

ნამდვილათ კი ასე არ ყოფილა, სოლტანია ღმერთმანი თაიგულის მესხიერების საქმე! — თუ იმან ბ. ბ. გრ. ოლსკის, ივ. მესხის და მ. ნიკოლაძის სიტყვები და კამათი გაიგონა, რატომ ბერძენიშვილის სიტყვებიც ვერ გაიგონა? ნეტავი რომელი ,,ჭაროსტარით'' მიუგრინავდა თაიგულის გონება მაშინ, როცა ბერძენიშვილმა შემდეგი სიტყვა თქვა;'' ბატონებო! დიდათ მიკვირს, რომ რად�ტ უბრალო და უმნიშვნელო კამათში ვკარგავთ დროს, და ვერავითარი საბჭირო კითხვა ვერ გადაგვიწყვეტია. მართალია ბევრი იმ აზრისა არის, რომ კომიტეტის მოქმედებისათვის რეგიზია არ არის საჭიროო, მარა, რა კი ეს კითხვა აიძრა, ეგელამ ერთხმათ რომ უარჰყონ ,,რეგიზიის'' დანიშვნა, მე იმათ არ ვეთანხმები და უფლებათ ვთხოულობ რეგიზიის დანიშვნას, და ვინემ რეგიზიას არ დაუნიშნავთ კომიტეტის მოქმედებას, მანამ არავის ანგარიშს არ ჩავაბარებ, ამაზე უოუოთ ჩემი ამხანაგებიც დამეთანხმებიანო''. ამ სიტყვის შემდეგ საბრეგიზიო კომისიის წევრები იქმნა არჩეული და კრებაც დაიშალა...

ბათომელი.

შარშანდელი ,,ჯეჯილი''-ს კრიტიკისა.

ერთათ ერთი საყმაწვილო ჟურნალი გაგვაჩნია, რომელიც ცდილობს უპატრონოთ დაგდებულ ბავშებს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ჩვენი მამები აქაც იჩენენ თავის ნამდვილ მამობას და მზრუნველობას: ან არ იწერენ ჟურნალს, ან იწერენ სხვის დასანახავათ, ვითომდა ქართული საქმისათვის გული შეგეტკივა, თანავუგრძნობთ და ვეხმარებითო, შვილებს კი არ აკითხავენ.

თუ ჩვენი ოჯახი ,,ჯეჯილს'' არ წყალობს, არც ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა აქცევს მას ყურადღებას; თვისა და თვის თავზე გამოაცხადებენ: ესა და ეს რომერი გამოვიდა, შინაარსი შემდეგია, მორჩა და გათავდა!

არც ფილოსოფოსის ტვინია საჭირო, არც დიდი განათლება და განვითარება იმ უბრალო ჭეშმარიტების შესაგნებათ, რომ, თუ ბავში რიგიან აღზრდას მოკლებულია, იმისგან მხოლოთ უვარგისი წევრი გამოვა საზოგადოებისათვის; სარგებლობა კიდევ მადლობა ღმერთს, — ხშირათ საზარალო და მაენემელი წევრი იქნება. როცა სხვაგან ბავშის აღსაზრდელ საშუალებათა შორის საყმაწვილო ლიტერატურას უპირველესი ალაგი უჭირავს და მთელი საზოგადოება ადევნებს მას თვალ-ყურს, ჩვენში ჟურნალ-გაზეთების მეთაურნიც კი დარწმუნებული არიან, რომ საყმაწვილო ლიტერატურა საჭირო არ არის. მოდი და სხვას რაღა უნდა მოვთხოვოთ!... მაგრამ წარსულ წელს „ჯეჯილს" როგორღაც ბედმა გაუღიმა: „ივერიამ" მას ფელეტონები უძღვნა. ამ ფელეტონებში აქა იქ გამოთქმული იყო სხვა-და-სხვა აზრი ბავშის აღზრდის და საყმაწვილო ლიტერატურის შესახებ; ჩვენ გვსურს, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ამ აზრს და შეძლების გვარათ დავანახოთ მათი ღირსება-ნაკლულევანება.

თუ ცოტაოდნათ თვალი გიდევნებია, მკითხველო, ჩვენი ჟურნალისტიკისათვის, შენიშნავდი, რომ ჩვენ სხვა-და-სხვა აზრების გამოთქმა გვიყვარს, საბუთების მოყვანა კი — არა, რაც ჩვენი ლოგიკის სიღატაკეს და განუვითარებლობას ამტკიცებს. ჩვენში უმეტესი ნაწილი თავის აზრს და შეხედულობას საკუთარ გემოვნებაზე ამყარებს; თქვენ კი არაფერს გიმტკიცებენ, გიცხადებენ: აი ჩემი გემოვნება როგორი აოისო! — კარგი და პატიოსანი, რომ მაგისთანა გემოვნება გქონიათ, ჩემთვის ეგ სრულიადაც არ გახლავსთ საყურადღებოვო, ეუბნებით თქვენ. - ჩემი გემოვნება შენთვისაც და ყველასთვისაც სავალდებულო არისო, გეუბნებიან პასუხათ, მოდი და ეშმაკი ნუ გაიცინებს!

ამას შემდეგ გასაოცარიც არ არის, რომ ბ. ბოცვაძის ფელეტონებში დამტკიცება ცოტა არის, საკუთარი გემოვნება კი ყოველ სტრიქონში გამოსჭვირს. ავტორი გიცხადებსთ: ეს ლექსი კარგია, ეს მოთხრობა არ ვარგა ე. ი. მე ეს მომწონს, ეს არ მომწონსო. ფელეტონები უფრო იმის მოწამენი არიან, რომ ავტორს წარსული წლის „ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“ წაუკითხავს. ახა ღმერთო! განა ამისთვისაც მადლობა უნდა გადაეუხადოთ? ზოგი მოწონებია, ზოგი არა, მაგრამ მწერალმა რაქნას: ყველას გემოვნებას რაობით დააკმაყოფილებს ჩვენს კურთხეულ საქართველოში, სადაც ერთსულსა და ერთხორცს ლუარსაბსა და დარეჯანსაც კი არა აქვსთ ერთნაირი გემოვნება. ამას შემდეგ ბ. ბოცვაძე, როგორც გულუბრყვილო ესტეტიკოსი, გვეუბნება: რაც მე მომეწონა, ის კარგია, რაც არ მომეწონა, ის არ ვარგაო. ჩვენთვის სრულიადაც არ არის საყურადღებო, ესტეტიკოსია ბ. ბოცვაძე თუ არა, რა მოწონს მას და რა არა. ჩვენთვის ის არის საყურადღებო, თუ რათ მოწონს კრიტიკოსს ესა თუ ის ნაწარმოები; რათ უნდა მოეწონოს სხვასაც ის, რაც კრიტიკოსს მოწონს? ამას კი ბ. ბოცვაძე არ გვეუბნება; ის დარწმუნებულია, რომ ესტეტიკის კანონები უტყუარი და ზოგადია და ამიტომ ფიქრობს: მე ეს მომწონს, მაშ კარგია; ვინაც ესტეტიკური ალღო აქვს, ყველას მოეწონებაო. რას დაეძებ ვის როგორი გემოვნება აქვს, ან თქვენ რას დაეძებთ, როგორი ალღო მაქვს? მომიყვანეთ თქვენი აზრის ლოგიკური საბუთები და, ესტეტიკის სულ რომ არაფერი მომცხებოდეს, მაინც იძულებული ვიქნები დაგეთანხმოთ. რომ არ დამწამო მკითხველო, ვითომ მეც საკუთარ გემოვნებაზე ვამყარებდე ჩემ მსჯელობას, მიემართავ ბ. ბოცვაძის ფელეტონებს და ვეცდები საბუთები მოგიყვანო.

ბატონი ბოცვაძე სასტიკი მორალისტია: ლიტერატურაში უზნეობის აღნიშვნა ძალიან ეჯავრება. თქვენ შეიძლება ციდან მოვლენილი ანგელოზი იყოთ და გინდოდეს, ქვეყანა სამოთხე იყოს, საცა ზნეობა და სიყვარული მეფობდეს ყველას სულსა და გულში; ამგვარი თვისება, რასაკვირველია, საქებია, მაგრამ თქვენ რაც უნდა გსურდეს, ქვეყანაზე უზნეობაც ყოფილა, ბოროტებაც არის და კიდეც იქნება. ლიტერატურა კი სარკეა ცხოვრებისა; ის ხატავს და ვალდებულიც არის ხატოს ის, რაც ნამდვილათ არსებობს, რეცეპტებს კი არ უწერს ცხოვრებას.

ამიტომ, თუ ნახეთ რომელიმე უზნეო პირი მოთხრობაში, მომწონხარ, არ მომწონხარ ის ძახილი სულ მეტია და უმნიშვნელო; ავტორს იმიტომ კი არ გამოუყვანია ესა თუ ის პირი, რომ მოგწონებოდათ, არა, მას ამგვარი მიზანი არ ჰქონია და, თუ ჰქონდა, ძალიან ნაკლები ღირსების ავტორი ყოფილა; მან შეამჩნია ამგვარი პირები ცხოვრებაში და თავისი დაკვირვება თქვენც გაგიზიარათ; თქვენ კი ცხოვრებას უნდა ჩაუკვირდეთ, გაშინჯოთ, რამდენათ მართალია ავტორი და გამოიკვლიოთ ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ავტორის მიერ გამოყვანილი პირი დაბადეს, მას უზნეო, ან ზნეობრივი საქციელი ჩაადენიეს. ვინ არ იცის, რომ ჩვენებური მედუქნეები მყიდველს ატყუებენ, ხშირათ დამპალ საქონელს აპარებენ? „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ“ პირველი ნომრის ერთ მოთხრობაშა ორიოდე სიტყვა არის ამის შესახებ ნათქვამი. მოთხრობა რომ ეკ. გაბაშვილის კალამს არ ეკუთნოდეს, ბოცვაძე ერთ ალიაქოთს ატეხდა: გაგვირყვნის ბავშებს ამისთანა საზიზღარი მოთხრობებიო; მაგრამ ახლა მარტო ამ ერთ ალაგს წუნობს ბ. თან დასძენს: „მართალია ბავშვები ცხოვრებაში ამაზე უარესს უზნეო სცენებსაც ჰხედავენ, მაგრამ კრიტიკულის თვალით გარჩევა რომელისამე საქციელისა ბავშს არ შეუძლია, ამიტომ გონიერმა აღმზრდელმა ამისთანა სცენებს უნდა აარიდოს ბავში. ბავშებისათვის საკითხავი მოთხრობებიც მოკლებული უნდა იყოს უზნეო სცენებს, ბავშს უნდა უჩვენო რაც კარგია, და მოარიდო ყველაფერს, რასაც კი შეუძლია ზნეობრივათ ცუდათ იმოქმედოს“. როგორც ხედავ, მკითხველო, ბ. ბოცვაძე გამოთქვამს აქ თავის აზრს ბავშის აღზრდისა და საბავშო ლიტერატურის შესახებ: კრიტიკული თვალით გარჩევა რომელისამე საქციელისა ბავშს არ შეუძლია, ამიტომ მარტო კარგი უჩვენეთ ხოლმე ე. ი. ბავში ატყუეთ, ქვეყნიერობა სამოთხეთ დაუსახეთო. ერთ მეფეს მეტათ მახინჯი ქალი ჰყავდა. ქალს რომ თავისი სახე ვერ დაენახა, მთელ სახელმწიფოში მეფის ბრძანებითა სარკეები მოსპეს, მაგრამ როცა იქნა, მეფის ქალმა მაინც გაიგო თავისი სიმახინჯე: ტბაში დაინახა თავისი სახე; ქვეყანაზე იმდენი უზნეობა და უსამართლობა არსებობს, რომ, რაც უნდა ეცადოთ, ბავშს ვერ დაუმალავთ. ჩვენ კი გვგონია, რომ მით უმეტეს უნდა დაანახოთ ბავშს კარგიც და ავიც, ზნეობრივიც, უზნეოც, და მიუთითოთ მათ განსხვავებაზე; ამით თქვენ ააღორძინებთ მის ბუნებაში კრიტიკის ნიჭს, აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი კი ის უნდა იყოს, რომ ბავშს კრიტიკული აზროვნება განუვითაროს, კარგიც გააცნოს, გლახაც, კრიტიკულათ ააწონ-დაწონიოს, ცალმხრიობას ააცილოს და მარტო მის რწმენაზე და გრძნობაზე არ იმოქმედოს. იწყებს თუ არა ბავში აზროვნებას, მას უნდა გააცნოთ ქვეყნიერება, ადამიანი, ის ქვეყნიერება და ადამიანი კი არა რომლებიც თქვენ სურვილშია გამოხატული, არამედ ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ნამდვილათ არსებობენ. ამისთვის კი საჭიროა კრიტიკა: უკრიტიკოთ ამა თუ იმ მოვლენის აწონ-დაწონა შეუძლებელია. თუ თქვენ გააცანით ბავშს ცხოვრების მარტო კარგი მხარე, ცუდს რომ თვითონ შეხვდება, როგორ შეხვდაეს მას ბავში, როგორ დაიფასებს? თუ თქვენ ცხოვრება სამოთხეთ დაუსახეთ და ადამიანი ანგელოზათ, თვითონ რომ წინააღმდეგს დაინახავს, როგორი იქნება მისი სულიერი მდგომარეობა, მისი შინაგანი ჰარმონია? ცხოვრების ცალმხრივი გაცნობა და სულიერი ჰარმონია ერთათ შეუძლებელია. ბავში ხომ ყოველთვის დიდის ოპეკის ქვეშ არ დარჩება? როცა იქნება, ისიც გახდება დიდი, დამოუკიდებელი ადამიანი; ერთი მიბრძანეთ, მაშინ რა სარგებლობას მოუტანს მას თქვენი ცალმხრივი აღზრდა, კარგის გაცნობა და ცუდის დამალვა? თქვენ თავიდანვე უნდა მოამზადოთ ბავში ამ დამოუკიდებლობისათვის, თავიდანვე უნდა მოამზადოთ ის საზრიანი ცხოვრებისათვის; ამისათვის კი საჭიროა, გააცნოთ მას მთელი ცხოვრება, როგორც მისი კარგი მხარე, აგრეთვე ცუდიც. ბ. ბოცვაძე გვეუბნება: უზნეოს ისეც ბევრს ხედავს ბავში ცხოვრებაში, აღმზრდელმა კი უნდა არიდოსო. ერთი მიბრძანეთ, რა მნიშვნელობა ექნება აღმზრდელის ამგვარ მოქმედებას, თუ ცხოვრება მას ეწინააღმდეგება? სწორეთ მაშინ გაირყვნება ბავში, როდესაც ის ცხოვრებაში ბევრ ცუდს ხედავს, აღმზრდელი კი ამ ცუდის ნამდვილ ღირსებას და მნიშვნელობას არ უხსნის. აქედან ნურავინ ნუ გამოიყვანს იმ დასკვნას, ვითომც ჩვენ ვქადაგებდეთ: ბავშს ყოველგვარი ცუდი და უზნეო მოვლენა, საქციელი გააცნოთო. ყოველისფერში თან-და-თანობა არსებობს; ეს თან-და-თანობა არც აღზრდაში უნდა იყოს დაეიწყებული; ყოველი წლოვანების ბავშს უნდა მიაწოდოთ ის, რასაც მოითხოვს მისი ბუნებრივი განვითარება. რვაწლის ყმაწვილს ჩვენ არ დავუწყებთ ისეთ მოვლენებზე ლაპარაკს, რომლების შესახებაც ზნეობრივათ ვალდებული ვართ, თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილს ჭეშმარიტი შეხედულობა მივცეთ და ამით კარგ გზაზე დავაყენოთ. თუ ინგლისის ახალთაობაში ზნეობრივი ცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენაა, რუსეთის ახალთაობაში კი უზნეო ცხოვრებაა ჩვეულებრივი მოვლენა, ამის მიზეზი ინგლისელების ვითომ natura frigida ან არა ჩვეულებრივი ბუნება და სოციალური პირობები კი არ არის, არამედ უმთავრესათ აღზრდა. როგორც საზოგადოთ ხელოვნურ ლიტერატურას, ისე საბავშო ლიტერატურასაც უპირველესათ ნამდვილი ცხოვრების ჭეშმარიტათ ხატვა უნდა მოვთხოვოთ. ის უნდა გვიჩვენებდეს ადამიანს ყოველგვარ თვისებას, ზნეობასაც, უზნეობასაც, ბოროტებასაც, სიკეთესაც; მხოლოთ ყოველგვარი მათგანი ღირსეულათ უნდა იყოს დაფასებული, რომ ბავშმაც ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს, კარგი შეიყვაროს, ცუდი შეიძულოს.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ᲚᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.*)

ბ. „ვარ“—ისადმი.

(ᲣᲐᲖᲜᲘᲓᲐᲜ).

ᲐᲘ, ეს არის, მივიღეთ ივერიის ორი უკანასკნელი №№ 53 და 54, სადაც მოთავსებულია ვილაც „ვარის“ წერილი შემდეგი სათაურით: „ნიმუში „კვალისტების“ რიხიანობა - ამპარტავნობა - ფანატიკოსობისა“.

აქ ავტორი გამომდგარა და „ივერიის“ ქვედაგვერდებს ასე აჭრელებს: ერთ დროს დარვინის თეორიას ძალიან ცუდი დღეები ჰქონდა: ზოგიერთ ვბმა იგი გადამახინჯებულათ გაიგეს და წვრილმან ეგოისტურ ინტერესების დასაკმაყოფილებლათ გამოიყენესო; ესევე საქმე მოუვიდა მარქსის მოძღვრებასაც. მითი სარგებლეს „ჩარჩ-ბაცაცებმა“ და ბევრმა კიდევ სხვამ, —ამ უკანასკნელთა მაგალითს წახედეს ჩვენში ამ ბოლო დროს „ზოგიერთა“ ახალგაზდებმა, განაკუთრებით „წვრილფეხა და განუვითარებელმა მარქსისტებმა“ (იხ. „ივ.“ № 53) და სხვ. იქნება, ბატონებო, ფაქტი, დამამტკიცებელი საბუთი გნებავდეთ?.. ახლავე გაახლებთ. Вотъ видите ли —, იწყებს ეს უცნაური „კრიტიკოსი“,—მე მყავს ერთი ყოველათ „უვიცი“, „ბრიყვი და სულელი“ ნაცნობი, რომლისთვისაც „ქართული ისტორია terra incognita-ა“; ეს ვაჟბატონი ერთხელ ისე გაკადნიერდა, რომ გამოკამათება გამიბედა და, აი, რა თავზარდამცემი და „ენის დამბმელი“ სიტყვებით გაჭკიცხა ჩვენი „ოქროს საუკუნე“—თამარ მეფის დრო —და ჩვენი ეროვნული დიდება შოთა რუსთაველი: „что Шота, Шота! онъ жалкій писака по сравненію, напр. съ Байрономъ... Даже Караманіани десять разъ лучше Вепхисъ-Ткаосани“-ო. აი, ბატონებო, ხომ დაინახეთ, რა მხეცი რამაც ყოფილა ეს ჩემი ნაცნობი, რომელიც მე „წვრილფეხა-მარქს სტათ“ მიმაჩნიო, — ქაქანობს „კრიტიკოსი“ და თან, თითქო კიდეეაც მორცხვობს, რომ ბედმა ამგვარი ნაცნობობა არგუნა,—მარა, რომ ეს ნაზი გრძნობა არავინ შეამჩნიოს, ის ვითომ მოთმინებიდან გამოდის და ლანძღვა-გინებას უმატებს... (იხ. „ივ.“ № 53).

—მერე და, რაო? ეკითხებით თქვენ: რა ეუყოთ, ბ-ნო ვარ—ო, რომ თქვენ ამ ნაირი ნაცნობი გყოლიათ,—მონაწილე ვართ თქვენი მწუხარებისა, მარა ეგ ვისი რა ბრალია, ან აქ რა მოსატანია?! თქვენ ხომ უკვე წერილის სათაურით გვაცნობეთ, რომ თქვენ მიზანს შეადგენდა „კვალისტების“ რიხიანობა — ამპარტავნობა — ფანატიკოსობა დაგემტკიცებინთ ᲓᲐᲒ მაგ

*) გუბეჭდავთ ამ წერილს, იმიტომ რომ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიგოს თუ რა საზიზღარი გრძნობებით არიან გაჟღენთილი ჩვენი მლანძღველნი და რა ს

თქვენი მაგალითით კი, მხოლოთ, თქვენ მიერ ათვალწუნებულ მარქსისტს და ისიც ვიღაც „წერილფეხა მარქსისტს“ ახასიათებთ...

გაგაოცათ, განა, მკითხველო, ამ უცნაური „კრიტიკოსის“ უცნაურმა ლოღიკამ! თქვენმა მზემ, არც ჩვენ ვართ ნაკლებ გაოცებული, — მარა მოვითმინოთ და ქვეით უფრო საუცხოო მარკალიტებს დავინახავთ. რასაკვირველია, როგორც გარეშე მკითხველი, ჩვენ ამ საქმეში არ ჩავერევოდით, რომ ვარ—ის ლოღიკურ ნახტომში ერთ იმისთანა გარემოებას არ ვხედავდეთ, რომელიც ნათლათ ამტკიცებს, თუ, საზოგადოთ, როგორი ქვენა გრძნობებით და პირადი შურის-ძიებით სარგებლობენ ხოლმე ჩვენში ზოგიერთი ეაჟბატონები, როცა ნიშანში რომელიმე საზოგადო დაწესებულების, ჟურნალ-გაზეთის ან მოღვაწის გაკიცხვა ამოუღიათ. ამ კითხვის გასარკვევათ კი, როგორც მკითხველი დაინახავს, თვით ჩვენი მოწმობაა საჭირო.

აი საქმე როგორ გახლავსთ.

ზემოთ დასახელებული წერილის ავტორი — „ვარ“ — ი, როგორც ეს მასთან პირისპირ საუბრიდან შევიტყვეთ, ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი ყოფილა. (მის ვინაობას ახლა არ ვასახელებთ, — მარა თვითონ კი კარგს იზამს, რომ საკმაო დიდსულოვნობას გამოიჩენდეს და „ევერიის“ მკითხველებს გააცნობდეს თავის თავს); ხოლო იქ გამოყვანილი და ავტორის რაღაც გაუგებარი გულუხვობით „წერილფეხა მარქსისტათ“ მონათლული პირი კი — აგრეთვე მეორე ჩვენი ამხანაგთაგანია, რომელსაც, თუნდ X ი დავარქვათ. ერთი სიტყვით, თურმე ამ უკანასკნელს უთქვამს შოთა რუსთაველის შესახებ ის საზიზღარი სიტყვები და ვარ—მაც ის „წერილფეხა მარსისტის“ სახელით მონათლა, და მერე რა მიზნით? რათა ევერიის მკითხველებისათვის დავინახვებია, რომ სადღაც შორს „პირსა ზედა ქვეყანისასა“ იმყოფება ერთი ვიღაც „კვალის“ პატივის მცემელი, ე ი. X ი, რომელსაც, მართალია, ჯერ „კვალში“ კენტი სიტყვაც არ დაუბეჭდია, მაგრამ — ღრმა აზროვნებს „ევერიის“ „კრიტიკოსი“ — რადგან ის ჩემ თვალში „სულელია“, „ბრიყვი“, „უვიცი“ და ყველა ამაების გამო კი მე იგი „წერილ-ფეხა მარქსისტათ“ მიმაჩნია, — მაშასადამე (?!) „კვალსაც“ ჩირქი ეცხებაო: ის „ყოყოჩაა — რიხიანი და ფანატიკოსიო“. (?!).

არ ვიცით, რა სახელი, უნდა ეწოდოს ამ დატანჯულ ლოღიკას! ეს კი ვიცით, თუ რა ქარმაც წამოარეოშვია ამ ახალ მოდის რაინდ-კრიტიკოსს ეს კლასსიკური უმზგავსობა!

თურმე, ნუ იტყვით, სწორეთ იმ დღეებში, როცა ბ-ნ ვარ—ს თავისი ლანძღვა დაუწერია, ჩვენ ამხანაგს, X-სს, მისთვის რაღაცაზე გული მოუყვანიებია; ვარ ი მოთმინებიდან გამოსულა, ამდგარა და იმ გახურებულ გულზე, რადგან X-ში ეითომ „კვალის“ „წერილფეხა“ წარმომადგენელს ხედავდა, მისი გალანძღვით კვალისა და საერთოთ „კვალისტების“ (იხ. მისი წერილის სათაური) გალანძღვა განუზრახავს. ეს თვითონვე აღიარა ბ-ნმა ვარ—მა იმავე კერძო საუბარში სამი მოწმის თანდასწრებით; მაგალითათ: როცა X-ი დაეკითხა: თუ „კვალის“ გალანძღვა გინდოდა, მე რას მერჩოდი, და თუ ჩემი — „კვალისტების“ რაღათ ეხებოდიო, — მან ასე უპასუხა: „ის მაშინ დავწერე, როცა შენზე გულ-მოსული ვიყავიო“...

საუცხოო ლიტერატურული ხერხია, თქვენმა მზემ! [1])

კარგი, ბ—ნებო, ვთქვათ X-ი და „ვარი“ ერთმანეთის ნაცნობები არიან, რომელთაგან პირველი „სულელიცაა“, „ბრიყვიც“, ჩვენი ისტორიის სრული „უვიციც“; ვთქვათ ერთ შვენიერ დღეს რაღაც პირადული ინტერესით ამ ვიღაც X-მა იმ ვიღაც ვარ—ს გული მოაყვანია და მოთმინებიდან გამოიყვანა, მარა ერთი მიბრძანეთ: აქ მარქსისტობა რა შუაშია? მით უმეტეს რა შუაშია „კვალისტობა“ ან „კვალი“? ვისა აქვს ნება ერთი ვიღაც X-ი და ისიც „სულელი“ და „ბრიყვი“ ადამიანის „უვიცობა“ მთელ ორგანოს მოახვიოს და მით ერთი ჩვენი ჟურნალ-გაზეთთაგანის გალანძღვა განიზრახოს?!. მარა, ოჰ, შელახულო წერილმანო და „ბავშურო“ თავმოყვარეობავ! სადამდი არ მიიყვან საბრალო ადამიანს?!.

ვიმეორებ, რომ ევერიის №№ 17, 53 და 54-ში დასტამბულ ფელეტონების ავტორი — ვარ — ი, ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი ყოფილა, — რომ მის მიერ ათვალწუნებული და უსამართლოთ „წერილ-ფეხა მარქსისტათ“ მონათლული X-იც აგრეთვე ჩვენი ამხანაგია, — რომ უკანასკნელი სტატია სათაურით: „ნიმუში „კვალისტების“ რიხიანობა-ამპარტავნობა-ფანატიკოსობისა“ ბ. ვარ—ს X-ისადმი გულმოსულობის დროსა და გავლენის ქვეშ დაუწერია, — და რომ ყოველივე ეს ვარ—მა საკუთარი პირით აღიარა, — ამისი მოწმენი (სამი კაცი) ახლაც მზათ არიან ხელი მოაწერონ, მხოლოთ უცდიან ჯერ თვითონ ვარ—მა გამოაქვეყნოს თავის ვინაობა, და როცა გამოაქვეყნებს, მაშინ ამ მოწმებსაც წამოვაყენებთ.

ამიტომ მივმართავთ „ვარ“-ს, თუ კი მას თავის თავისა არ რცხვენია და თავის ჭორების გამომჟღავნებისა არ ეშინია, გამოაქვეყნოს თავისი სახელი და გვარი და მით შეძლება მოგვცეს მასთან პირდაპირ ლაპარაკისა და ყოველივე ჩვენი ნათქვამის საბუთებით დამტკიცებისა.

სტუდენტი ს. გ—ძე.

---

[1]) იქნება ბ-ნმა ვარ—მა ძალიან იუცხოვოს და ამ წერილის ავტორს უგიჟინოს: ეს ხომ ოითქმის „სოჯანხო“ საქმეა და რა გასაკვირი იყო საჯაროთ გაზეთშიო. აი ჩვენი პასუხი: მართალია, ბ-ნო ვარ—ო, ჩვენ „სოჯანხო“ საქმეს ვაკეთებენთ (რისთვისაც ძალიან ვწუხვართ), მარა თქვენ სწორეთ შირეველთ ჩაიდინეთ მაგისთანა ტოდვა, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ თქვენ „სოჯანხო“ და ისიც ერთიანთ გადამახინჯებული ფაქტი გამოამქვეყნეთ იმ მიზნით, რათა მისი განზოგადებით, კვალისა და „კვალისტებისთვის“ (ეითომ) შეურცხოფა მიგეყენებინთ; ხოლო ნახევერათ ცრუ ფაქტის ევერიის ბეერდებზე გასაღებით კი თვითონ თქვენსავე მკითხველებს უგიდურესი შეურცხოფა მიაყენეთ... — ჩვენი მიზანი კი ერთათ ერთია: სასეფდობრ, — თქვენ მიერ მოტხებული ჩირქი მოვწმინდოთ როგორც „კვალს“, ისე „ევერიას“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 3 Апрѣля 1899 г. Тип. М. Д. Ротиніянца — სტამბა მ. დ. როტინიანცისა Год. пр. д. № 41.